ახალი ალიანსი

21-27.02.2019

№5 (839) გაბეჭდილ 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ნიკო ფიროსმანის გამოფენა ალბერტინას მუზეუმში

400 000-ზე მეტმა დამთვალიერებელმა იხილა. 2 მარტიდან, გამოფენას, საფრანგეთში, ქალაქ არლში მდებარე ვინსენტ ვან გოგის მუზეუმი უმასპინძლებს.

ფოტოსინთეზი
FOTOSINTEZ

გარდაბნის №6 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის სონა ჯახრამანოვას მიერ ჩატარებული ბიოლოგიის გაკვეთილის გეგმა

2018-2019 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთკვირიანი საგაზაფხულო არდადეგები 8 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით გაგრძელდება, სასწავლო პროცესი კი 15 მარტს განახლდება.

✓ **გამოცდების გაუქმებას შეფასების ეფექტური სისტემის შემუშავება უნდა მოჰყვეს**

ინტერვიუ გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამის ხელმძღვანელთან, მაკო ყუფარაძესთან — გვერდი 2

✓ **ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო შიმშილობა შეწყვიტეს**

რა შესთავაზა უნივერსიტეტმა ბიზნესის სკოლის სტუდენტებს — გვერდი 2

✓ **მასწავლებელთა 360 გრადუსით შეფასება პროფესიის რეგულირებისთვის**

როგორი იქნება სისტემა, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდება — გვერდი 3

რეფორმა

გამოცდების გაუქმებას შეფასების ეფექტური სისტემის შემუშავება უნდა მოჰყვეს

სკოლის გამოსაშვები გამოცდების მოხსნას, ბევრ მომხრესთან ერთად, ბევრი მოწინააღმდეგეც გაუჩნდა. საშუალო საფეხურის დასრულებას გამოცდა აღარ შეაფასებს, მოსწავლეთა შემფასებლები ახლა საგნის მასწავლებლები დარჩნენ. როგორ შეაფასებს სისტემა მათ, შეფასების რა მექანიზმები დაიცავს ობიექტურობას? საზოგადოების ნაწილს ამ კითხვაზე პასუხი აინტერესებს. სამინისტროს მხრიდან, პარალელურად, გაჩნდა ახალი ინიციატივები, რომლის მიხედვითაც დაწყებითი და საბაზო საფეხურის შეფასება მომავალში ისევ გამოცდას დაეკისრება. თუმცა, კონკრეტულად როგორი იქნება შეფასების ახალი სისტემა, ამაზე პასუხები ჯერჯეროობით არ აქვთ.

რა შედეგს ელიან განათლების სფეროს წარმომადგენლები გამოსაშვები გამოცდების გაუქმებით და მუშაობს თუ არა სკოლებში არსებული შეფასების სისტემა ეფექტურად – ამ თემებზე საუბრობს გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი მაკო ყუფარაძე:

– რა არის გამოცდის მთავარი მიზანი?

– ნებისმიერი შეფასების, მათ შორის გამოცდის, მთავარი მიზანია, სისტემამ – სკოლამ და მასწავლებელმა – შეძლოს მოსწავლეს დაეხმაროს მისთვის პრობლემური საკითხების განსაზღვრაში და იმ საჭიროებების დადგენაში, რაც სწავლის პროცესში წარმოიშობა. შემდეგ კი, უნდა მისცეს საშუალება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს, ამ საჭიროებების დაძლევაზე იმუშაონ. რეალურად სასკოლო დონის შეფასების (გამოცდის) მიზანი ეს არის.

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებში ასახულ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებს, ცალსახად დავინახავთ, რომ საქართველოს მოსწავლეები სისტემას კარგ შედეგებზე ვერ გაჰყავს, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული შეფასების სისტემა მთავარ მიზანს ეფექტურად ვერ აღწევს.

თავისთავად, განათლების სისტემა მუდმივგანვითარებადი სფერო გახლავთ, ამიტომ განვითარებულ განათლების სისტემებში ნებისმიერი კარგი ინიციატივა, მათ შორის, ეროვნული სტანდარტები და შეფასების სისტემა (გამოცდები) გადაისინჯება ხოლმე სამ ან ხუთ წელინადში ერთხელ. ამით ის რეფორმატორული ინიციატივები ფასდება, რაც მასწავლებლებისა და მოსწავლეების კომპონენტში ვლინდება ხოლმე. ვფიქრობ, გამოცდების სისტემის ცვლილებებს აუცილებლად საფუძვლად უნდა დაედოს, ზოგადად, სასკოლო და საკლასო შეფასების სისტემის გაუმჯობესება. თვითონ მასწავლებლებმა, საზოგადოებამ, სკოლამ, თემმა უნდა გაითავისონ შეფასების სისტემას დიდი მნიშვნელობა და ისიც, რომ გამოცდის მიზანი მხოლოდ ქულის დაწერა არ არის, უფრო მოსწავლის დახმარებაა, რომ უკეთ ისწავლოს. მაგალითად, წლების წინ, იყო ასეთი პოზიტიური ტენდენცია, როცა ნიშნების დაწერა მასწავლებლის მოსწავლესთან მუშაობის უფრო აღწერილობითი სახის შეფასებამ ჩაანაცვლა. თავისთავად, სისტემის მესვეურები – სკოლები და მასწავლებლები – ამბობდნენ, რომ ეს ნაკლებად ეფექტური იყო იმიტომ, რომ მასწავლებლებს იმ ინსტრუმენტების გამოყენების კარგი ცოდნა არ გააჩნიათ – როგორ მოახდინონ მოწავლეთა მაღალეფექტური შეფასება. პრაქტიკულად, ეს ხელს უშლის მთავარი თვითმიზნის მიღწევას – მოსწავლემ უკეთ ისწავლოს.

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საზოგადოებამ, სკოლამ, პირველ რიგში, მასწავლებელმა გაითავისოს შეფასების უმნიშვნელოვანესი როლი სწავლების პროცესში. და, რაც მთავარია, მასწავლებელი, პირველ რიგში, უნდა ფლობდეს უნარებს, როგორ შექმნას და გამოიყენოს შეფასების ინსტრუმენტები – სემესტრულად, ყოველდღიურად, თუნდაც, სკოლის დამთავრებისას.

– თქვენი აზრით, რას მოიტანს ან რაზე მიანიშნებს სკოლის გამოსაშვები გამოცდების მოხსნა?

– ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ გამოცდების გაუქმებას აუცილებლად მოჰყვება შეფასების ეფექტური სისტემისა და მეთოდების შემუშავება. ისევ გავიმეორებ, ეს სისტემური ხარვეზია, მასწავლებლის კომპეტენციისა და ცოდნის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამიტომ, არსებული შეფასების მოდელი უნდა ჩანაცვლდეს მოსწავლის შეფასების სხვა, უფრო ეფექტური, შეფასების სისტემით.

– ამ მოცემულობით გამოდის, რომ შეფასების გარეშე რჩება არა მხოლოდ საშუალო, არამედ სხვა საფეხურებიც.

– ვერ გეტყვით, რომ შეფასების გარეშეა დარჩენილი, რადგან გამოცდის გარდა, შეფასების სხვა სისტემებიც არსებობს, მაგრამ როგორც გითხარით, არაეფექტური, რადგან შეფასების მთავარი მიზანი ნიშნის დაწერაა, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. პირველ რიგში, შეფასება მოსწავლის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს – შეფასებით მას უნდა დავეხმაროთ, რომ გააუმჯობესოს შედეგები. მთელი აქცენტის ნიშნის დაწერაზე გადატანამ ძალიან ნეგატიური პრაქტიკის დანერგვას შეუწყო ხელი, მათ შორის, რეპეტიტორობას. როცა ვამბობთ, რომ სკოლაში უნდა შეიქმნას შეფასების ეფექტური სისტემა, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ, რა ზიანის მოტანა შეუძლია სკოლისთვის, თუნდაც, აღნიშნულ ნეგატიურ ფენომენს. ამიტომ სკოლა ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ თავისთავად გაქრეს რეპეტიტორობა. რეალურად, დღეს, ხშირ შემთხვევაში, რეპეტიტორობა ერთადერთი დახმარებაა მოსწავლისთვის, რომ შედეგზე გავიდეს. არადა, ეს ფუნქცია მთლიანად სკოლაზეა დაკისრებული. სკოლამ უნდა განსაზღვროს და მასწავლებლებს მისცეს ძალიან კარგი ცოდნა ამ მიმართულებით. რეალურად, ეს იქნება სკოლის ფუნქციის მაღალ დონეზე შესრულება და დიდი რეფორმის და ცვლილებების დასაწყისიც. პრაქტიკულად, მხოლოდ მაშინ გავალთ მოსწავლის შეფასების მოქნილ და წარმატებულ მოდელზე, როცა ყველა მასწავლებელი გაიაზრებს შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობას და დაეუფლება მისი გამოყენების უნარ-ჩვევებს. მხოლოდ ეს გახდის ეფექტურს მოსწავლესთან მუშაობის პროცესს – აამაღლებს მოტივაციას და გააჩენს სწორ დამოკიდებულებას სწავლისადმი. ასეთ სისტემაში მოსწავლეც კმაყოფილი იქნება მიღებული შედეგებით და მასწავლებელიც.

ეს უნდა იყოს მთავარი მიზანი ცვლილებების განხორციელებისას. თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ გამოცდის მოხსნით არ უნდა შემოიფარგლოს დაწყებული რეფორმა და სისტემამ უნდა შეიმუშაოს სკოლის დამასრულებელი შეფასების (გამოცდის ჩათვლით) ერთიანი სისტემა, რომელიც არა მხოლოდ ცალკეულ საგნებზე იქნება ორიენტირებული, არამედ კომპლექსურად შეაფასებს მოსწავლის ცოდნასაც და უნარებსაც. რეალურად ეს დაეხმარება, ერთი მხრივ, მოსწავლეს და, მეორე მხრივ, სისტემას, განსაზღვრონ ის კომპეტენციები და ძლიერი მხარეები, რაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად და სწავლის გასაგრძელებლად სჭირდება კონკრეტულ მოსწავლეს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო შიმშილობა შეწყვიტეს

ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტების ჩართულობით, სამუშაო ჯგუფის შექმნაზე დათანხმდა. ჯგუფი უნივერსიტეტის წესდების შეცვლაზე იმუშავებს, გადაიხედება და დაკორექტირდება, ასევე, ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურა.

როგორც სტუდენტები ამბობენ, მენეჯმენტის ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ნაცვლად, შეიქმნება ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, რისთვისაც ადმინისტრაციას 2-კვირიანი ვადა მისცეს. მათ იმის პირობაც მიიღეს, რომ ბიზნესის სკოლას ავტონომია ექნება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიგა ზედანია** სტუდენტებთან შეხვედრას შედეგიანს უწოდებს. ამბობს, რომ მხარეებმა ის საკითხები განიხილეს, რომელზეც შეთანხმება შესაძლებელია. შეხვედრაზე არ უსაუბრიათ მენეჯმენტის საკითხზე და არ განუხილავთ დაბრუნდება თუ არა გიორგი ქადაგიძე დეკანის თანამდებობაზე.

„შეხვედრა ძალიან კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული იყო. ჩვენ ჩამოვთვალეთ ის საკითხები, სადაც სრულად შესაძლებელია მოხდეს შეთანხება. ეს არის, მაგალითად, ახალშექმნილ ფაკულტეტზე სტუდენტური ჯგუფის ჩართვა ბიზნესის სკოლის ავტონომიის მექანიზმების განსაზღვრაში. ასევე ვთქვით, რომ შეიქმნება სტუდენტური რეფორმების ჯგუფი, რომელიც იმუშავებს წესდებაში ცვლილებებზე, უნივერსიტეტის დონეზე. იმ საკითხებზე, სადაც აზრთა სხვადასხვაობაა, ჩვენ გავაგრძელებთ შეხვედრებს და მუშაობას,“ – ამბობს გიგა ზედანია.

ბიზნესსკოლის კურსდამთავრებულ **სალომე გოჩოლეიშვილს**, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, მიაჩნია, რომ ადმინისტრაციის მხრიდან ეს ერთი წინგადადგმული ნაბიჯია – *„მათ შემოგვთავაზეს ერთობლივი მუშაობა. რეფორმა შეეხება როგორც ფაკულტეტს, ასევე წესდებას. ფაკულტეტთან დაკავშირებით, ზუსტად არ ვიცით, რა ცვლილებები იქნება, ამაზე ვიმუშავებთ. რაც შეეხება წესდებას, ვთანხმდებით, რომ შესაცვლელია. მოვუწოდებთ განათლების კომიტეტს და მარიამ ჯაშს, რომ ჩაერთოს ამ პროცესებში“.*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 15-მა სტუდენტმა რექტორის კაბინეტის წინ შიმშილობა 15 თებერვალს დაიწყო. შემდეგ რამდენიმე სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და ისინი სტაციონარში გადაიყვანეს. სტუდენტების უკმაყოფილება გიორგი ქადაგიძისა და გიორგი პაპავას ილიაუნიდან გათავისუფლებას და რეორგანიზაციის მიზეზით, ბიზნესის ფაკულტეტის სხვა ფაკულტეტებთან გაერთიანებას მოჰყვა.

თავის მხრივ, გიორგი ქადაგიძემ და გიორგი პაპავამ საპროტესტო განცხადებები გააკეთეს. ილიაუნის აკადემიურმა საბჭომ, უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან – რეორგანიზაციასთან და გიორგი ქადაგიძისა და გიორგი პაპავას განცხადებებთან დაკავშირებით, ვრცელი განცხადება გაავრცელა, სადაც დეტალურად არის საუბარი იმ სხდომაზე, რომელზეც საბჭოს წევრებსა და გიორგი ქადაგიძეს შორის ზოგიერთ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მათ უკიდურესი წუხილი გამოთქვეს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში კომუნიკაციის პროცესმა ასეთი რადიკალური სახე მიიღო. *„ვფიქრობთ, რომ სტუდენტების ყველა შემოთავაზება განხილულ უნდა იქნეს სადისკუსიო წინადადებების ფორმით, რათა სამუშაო პროცესის შედეგად უნივერსიტეტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას განვითარების გზაზე“, – ვკითხულობთ განცხადებაში.*

სწორედ ამის შემდეგ გაიმართა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომლის დაწყების წინ გიგა ზედანიამ იმედი გამოთქვა, რომ ეს იქნებოდა ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა დაპირისპირებული მხარეების პოზიციების დასაახლოებლად. *„ყველანი შევეცდებით, რომ შეხვედრა კონსტრუქციული იყოს“.* – განაცხადა რექტორმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, თუ რას სთავაზობდა უნივერსიტეტი მოშიმშილე სტუდენტებს დეკლარირებულად.

ა) ბიზნესსკოლის ავტონომიურობის უზრუნველსაყოფად, ახალი ფაკულტეტის ფარგლებში, შეიქმნას ბიზნესის მიმართულების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, სტუდენტებისა და ბიზნესის სკოლის პროფესორების მონაწილეობით. აღნიშნული ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ამ მიმართულებით; გაგრძელდეს მუშაობა ახალი ფაკულტეტის სახელწოდებასა და პროგრამების შინაარსზე.

ვადა – 2 კვირა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შესატანად შეიქმნას საუნივერსტეტო სტუდენტური ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს ამ მიმართულებით.

ვადა – 3 თვე.

შეხვედრა, რომელიც 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ფაქტობრივად, საბოლოო გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. თუმცა, მხარეები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ და პროცესმაც სამუშაო რეჟიმში გადაინაცვლა. რამდენად შედეგიანი და ეფექტური იქნება ჯგუფის მუშაობა, ამას მომავალი დაგვანახებს.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა 360 გრადუსით შეფასება პროფესიის რეგულირებისთვის

მასწავლებლების შესაფასებლად დაწესებული კრედიტქულები გაუქმდება და მათი სერტიფიცირებისა და სახელფასო პოლიტიკის ახალი მოდელი შემოვა – ამის შესახებ, ინფორმაცია საზოგადოებას, თითქმის ერთი თვის წინ, განათლების მინისტრმა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა მიაწოდეს.

ცნობილი გახდა, რომ კარიერული წინსვლის სქემას ახალი სახელი – „მასწავლებლის რეგულირების წესი“ ერქმევა და მასწავლებლის კარიერულ წინსვლას ახლა კომპლექსური გამოცდით შეაფასებენ, რომლის თეორიული ნაწილი გაცილებით რთული იქნება და შესაბამისად, უფრო მაღალი კომპეტენციების დადასტურება მოუწევს. ამას დაემატება პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მის საქმიანობას წარმოაჩენს, თუმცა, ახლი მოდელის დეტალები, რომელიც მასწავლებლის პროფესიას „დაარეგულირებს“, ბოლომდე ჯერ ისევ უცნობია. შევეცდები, თავი მოვუყარო იმ ინფორმაციას, რომელიც ცენტრის ხელმძღვანელის, ბერიკა შუკაკიძისა და მისი მოადგილის, მანანა რატიანის ინტერვიუებში „მასწავლებლის რეგულირების წესს“ შეეხო და რას გულისხმობს „მასწავლებელთა 360 გრადუსით შეფასება“, რომელიც პედაგოგთა მხრიდან დღემდე აქტუალურ თემად რჩება.

სისტემას, რომელიც 2020 წლიდან დაინერგება, ასე განმარტავს **ბერიკა შუკაკიძე:**

„გვექნება ორი გამოცდა – საგნობრივი და პროფესიული. საგნობრივ გამოცდას ჩააბარებს ყველა, ვისაც სკოლაში შესვლა უნდა, ხოლო ვისაც სტატუსის შეცვლა სურს, აბარებს პროფესიულ გამოცდას.

საგნის ერთდონიან გამოცდას ჩააბარებს ყველა, ვინც სისტემაში შედის და უნდა გადალახოს 60%+1; ასევე მოუწევთ პროფესიული გამოცდის ჩაბარება, რომელიც ვფიქრობ, სამდონიანი იქნება.

ეს ჩემი მოსაზრებაა, რაზეც გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. სახელმწიფომ რომ რესურსი დაზოგოს, გავაკეთოთ ასე, იყოს სამდონიანი გამოცდა და მას, ვინც 80-დან 100 ქულამდე აიღებს, მიენიჭოს ყველაზე მაღალი, მენტორის სტატუსი.

მასწავლებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე ტესტის ჩაბარება და გვინდა, ამ გამოცდებს შევძინოთ პრაქტიკული კომპონენტი, ანუ პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირება მოვახდინოთ, რომ როგორმე უფრო კარგად და ზუსტად გავზომოთ მასწავლებლის კვალიფიკაცია, სანამ ის სკოლაში შევა. ეს იქნება ცვლილებების, ანუ წინსვლის ერთი გზა.

მეორე, რაც გვინდა, გავაკეთოთ, ეს ცენტრის ინიციატივაა და ვცდილობთ, ჩვენს მოსაზრებებში დავარწმუნოთ გადაწყვეტილებების მიმღები პირები.

იდეა ასეთია – სკოლაში შეიქმნას საშუალო რგოლის მენეჯმენტი, სადაც შევლენ კათედრის გამგეები, დირექტორის მოადგილეები. ეს იქნება დამსახურებითი თანამდებობა და დაერქმევა ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფი. ამ რგოლს არ ექნება დასჯის, ზეწოლის ფუნქცია, ეს იქნება მხარდაჭერაზე დაფუძნებული თანამშრომლობა.“

ამ ახალი რგოლის გაჩენის მიზეზად ცენტრის ხელმძღვანელი სისტემის დეცენტრალიზაციას ასახელებს, რადგან მასწავლებლის სახლი არ უნდა იყოს ყველაფრის გამგებელი. რაც შეეხება ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტებას, ბერიკა შუკაკიძე ამბობს, რომ ჯგუფის წარმომადგენელთა ხელფასი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მასწავლებლის ხელფასია. *„სკოლა არის ისეთი ინსტიტუცია, რომელსაც საშუალო რგოლი, მენეჯმენტი არ ჰყავს. მოხდება მასწავლებლის სახლის წარმომადგენლების ინტეგრირება რესურსცენტრის დონეზე.“*

პედაგოგების წინსვლისთვის, გამოცდის გარდა, ცენტრის ხელმძღვანელი სხვა გზაზეც საუბრობს – *„მაგალითად, არ გინდათ გამოცდაზე გასვლა, ხარისხის ჯგუფი შეადგენს აქტივობების ჩამონათვალს, რომელიც უნდა განახორციელოს და მათ შორის იქნება კლასში სასწავლო პროცესზე დაკვირვებაც.*

ჩვენი იდეა არის ასეთი – მასწავლებლის პროფესიული განვითარება და მისი საქმიანობის შეფასება უნდა მოხდეს საქმეში დაკვირვებისას. ხარისხის ჯგუფს ექნება თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ფუნქცია.

თუ ჩვენ საკლასო ოთახის დაკვირვებას არ ვაწარმოებთ, ვერ გავიგებთ პედაგოგების საჭიროებებს და მათ საქმიანობას. ამას დაემატება სასკოლო კულტურის, მშობლების, ბავშვების კვლევა. ***როგორია მასწავლებელი, 360 გრადუსით რომ შევაფასოთ.***

ეს კომპონენტი აუცილებლად უნდა არსებობდეს, რისთვისაც გვჭირდება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გვეტყვის, რომ ეს პედაგოგი უფროსი კი არა, წამყვანი მასწავლებელი უნდა იყოს, ოღონდ მან უნდა წარმოადგინოს საქმიანობები – სამოდელო გაკვეთილი, კვლევა, მის მიერ შექმნილი რესურსი და დაიცვას ის კომისიის წინაშე.“

გაცხადებული მიზნის გარდა, ჯგუფის შეფარულ მიზანსაც ამხელს და ამბობს, რომ ამ ჯგუფის არსებობის შეფარული მიზანი ქცევის გამყარებაა. ჯგუფი მასწავლებლებს დააკვირდება და მათთან ერთად გამოწერს პროფესიული განვითარებისთვის წამალს.

„ის პრაქტიკოს მასწავლებელს სემესტრში ხუთჯერ დააკვირდება, ასევე დავახმართ, ე.წ. ქოუჩს. ასეთ რეჟიმში მას ქცევა გაუმყარდება; უფროს მასწავლებელს სამჯერ დააკვირდებიან, წამყვანს კი – ორჯერ.“

სისტემაში ოთხი სტატუსი კვლავ ნარჩუნდება და რეგულირების წესშიც გადავა ჩანაწერი, თუმცა, აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ განსხვავებული სტატუსის მოსაპოვებლად მასწავლებლებს განსხვავებული კომპეტენციების დადასტურება მოუწევთ. სახელფასო პოლიტიკაც, ისევე როგორც არსებულ სქემაში, მასწავლებლის სტატუსზე იქნება მიბმული. გართულდება თუ არა რეგულირების წესში წინსვლის გზები, ამის შესახებ **მანანა რატიანი** ამბობს, რომ წინასწარ ამის თქმა არ შეიძლება, თუმცა, ცხადია, რომ მასწავლებლის წინსვლას გარეკომპონენტები განაპირობებს.

მასწავლებლისთვის საგნობრივი და პროფესიული უნარების დადასტურება კვლავ სავალდებულოდ რჩება, მაგრამ იმისთვის, რომ წამყვანი ან მენტორი გახდეს, მასწავლებელს თანმიმდევრულად აღარ მოუწევს კარიერული საფეხურების გავლა. *„იმისთვის, რომ პრაქტიკოსი გახდეს წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი და ამ საფეხურისთვის განკუთვნილი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს, მინიმუმ, საგნობრივი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს დადასტურებული. მაგრამ, ვფიქრობთ, მათ საუკეთესო შესაძლებლობას ვაძლევთ, რადგან საფეხურის გამოტოვებით, თავიდანვე შეეძლებათ განაცხადონ, რომ მენტორისთვის განკუთვნილ გამოცდაზე გასასვლელი კომპეტენციები გააჩნიათ.“*

მიეცემა თუ არა მასწავლებელს, ჩაჭრის შემთხვევაში, გამოცდის თავიდან ჩაბარების შესაძლებლობა? – ამის შესახებ მანანა რატიანი ამბობს, რომ ასეთ დეტალებზე ახლა მუშაობენ, თუმცა, ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ არ უნდა მისცენ ხელმეორედ გამოცდის ჩაბარების უფლება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად მუშავდება გამოცდის ახალი ფორმატი და ცალსახაა, რომ აღარ იქნება გამოცდა ტრადიციული გაგებით, თუნდაც ისეთი, როგორიც მასწავლებლებისთვის იყო მხოლოდ თეორიული ნაწილი. *„ეს არ იქნება მასწავლებლების შეფასება მხოლოდ ტესტური ფორმით, არამედ, იქნება მასწავლებლის 360 გრადუსიანი შესწავლა, მათ შორის, პრაქტიკულ კომპონენტში – საგაკვეთილო პროცესში დაკვირვებით.“*

რაც შეეხება საგამოცდო ტესტის საკითხებს, მისივე ინფორმაციით, თავისთავად, საკითხებიც შეიცვლება, რადგან უფროს მასწავლებელს სხვა კომპეტენციებსა და მოთხოვნებს უყენებს სტანდარტი და წამყვანს – სხვას. ის გამოცდა დარჩება უფროსი მასწავლებლებისთვის, ახალი გამოცდა კი – სტატუსის მოსაპოვებლად, *„რადგან უფრო მაღალი სტატუსი მეტ კომპეტენციებს მოიცავს, გამოცდაც არ იქნება ისეთი სიმარტივის როგორიც უფროსი მასწავლებლისთვისაა განკუთვნილი, მეტიც, ის უფრო კომპლექსური გახდება – თეორიულ ნაწილს (რომელიც უფრო რთული იქნება და უფრო მაღალი კომპეტენციების დადასტურება მოუწევთ მასწავლებლებს) დაემატება პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მათ საქმიანობას აჩვენებს.“*

რა ბედი ელით იმ მასწავლებლებს, ვისაც ამ გამოცდის ჩაბარების სურვილი არ ექნებათ, დარჩებიან თუ არა სისტემაში? ეს ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა, მანანა რატიანი **რეკომენდაციას უწევს იმ მასწავლებლებს, რომელთაც 1 და 4 კრედიტქულა აქვთ მოპოვებული** – 100-ქულიანი საგამოცდო ტესტიდან, მხოლოდ 30 პროცენტის დაფარვა შეძლეს: *„ თუკი ისინი, სასწავლო წლის ბოლომდე, ვერ მოახერხებენ 19 კრედიტქულის დაგროვებას, რეკომენდაციას ვაძლევთ, რომ დამატებით გავიდნენ გამოცდაზე. რადგან 30 პროცენტის დაფარვა საკმაოდ მცირე ზღვარია მასწავლებლის კვალიფიკაციისთვის და არასაკმარისი კომპეტენცია კვალიფიციური სწავლების პროცესის წარმართვისთვის.“*

დარჩებიან თუ არა ის მასწავლებლები სისტემაში, ვინც წელს გაზრდილი ზღვრის გადალახვას ვერ შეძლებენ? არც ამ კითხვაზე აქვთ ჯერჯერობით პასუხი, რადგანაც, ბევრ სხვა პასუხგაუცემელ საკითხთან ერთად, ის „მასწავლებლის რეგულირების წესმა“ უნდა განმარტოს, რომლის დამტკიცებაც ახლა პარლამენტზეა დამოკიდებული. სამუშაო ჯგუფები უკვე ინტენსიურად მუშაობენ, რომ ამ პროცესებს გამზადებული დოკუმენტაციით შეხვდნენ. ამ ეტაპზე კი, პროფესიული განვითარების სქემაში შევა ის ცვლილებები, რომლებიც დაწყებულ პროცესებს ბოლომდე მიიყვანს, ვიდრე „მასწავლებლის რეგულირების წესი“ ამუშავდება.

მანანა რატიანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმასაც, თუ რა კომპეტენციის ადამიანები შემოვლენ ბაზარზე 20 წლის შემდეგ, *„რადგან განათლებისადმი მიდგომები მუდმივად იცვლება მთელ მსოფლიოშიც და ჩვენთანაც. ამ ეტაპზე თვითონ ზოგადი განათლება არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული საგნის ან საგნების კრებულის ცოდნა ჰქონდეს მოსწავლეს, აქ მნიშვნელოვანია ვისაუბროთ 21-ე საუკუნის კომპეტენციებზე, რომლის განვითარებას მოსწავლეებში ხელი უნდა შეუწყოს სკოლამაც და მასწავლებელმაც.“*

როგორ მოხდება სისტემაში ახალგაზრდა კადრების შეყვანა? მანანა რატიანი ამბობს, სისტემა ყოველთვის უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ *„ბუნებრივად მოხდეს ჩანაცვლება, მით უფრო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მასწავლებლების საშუალო ასაკი 51 წელია, რაც საკმაოდ მაღალია ევროპულ მაჩვენებლებთან მიმართებაში ან რიგი ქვეყნების საშუალო ასაკთან შედარებით. ამდენად, ეს პროცესები გარდაუვალია, რომ სისტემა არ აღმოჩნდეს კოლაფსის წინაშე. უნდა ვუზრუნოთ იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრი გვყავდეს სისტემაში შემოსაყვანად, რომ ღირსეულად მოახერხონ მასწავლებლების ჩანაცვლება. პირველ რიგში, ეს არის აკადემიური გზა – მასწავლებლის 300-კრედიტიანი პროგრამები, როცა აბიტურიენტი მასწავლებლის პროფესიაზე აკეთებს არჩევანს. არის კიდევ მეორე, უფრო მოკლევადიანი გზა – 60-კრედიტიანი, ერთწლიანი პროგრამა, რომელიც განკუთვნილია სხვა პროფესიის ახალგაზრდა კადრებისთვის, რომლებიც მოგვიანებით გადაწყვეტენ, რომ ბედი მასწავლებლის პროფესიაში სცადონ.*

ამას კიდევ დაემატა მესამე გზა – მაძიებელი მასწავლებელი. მაძიებელი იქნება ახალგაზრდა, რომელიც უკვე დაუფლებულია სხვა პროფესიას (მაგალითად, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი და ა.შ.), მაგრამ არ აქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია. სკოლაში მუშაობის დაწყებისთანავე ის ავტომატურად ჩაერთვება პროფესიულ განვითარებაში და, ორი წლის განმავლობაში, დააკმაყოფილებს იმ კომპეტენციებს, რომელიც დარგობრივ მახასიათებლებშია გაწერილი.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე და, რაც მთავარია, სახელმწიფო მუდმივად უნდა ზრუნავდეს ამ მასწავლებლის დახელოვნებისა და მხარდაჭერისთვის.“

რაც შეეხება მწვავე თემას, მასწავლებელთა სისტემიდან გაშვებას, რომლის გარეშეც ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლება ვერ მოხდება, ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძე აქ ძალიან ფრთხილია და ამბობს, რომ ამ მიმართულებით სამინისტრო შეიმუშავებს პოლიტიკას, რომელიც მაისში გახდება ცნობილი და *„ეს იქნება კეთილდღეობაზე მიბმული სახელფასო პოლიტიკა.“*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკა არაერთი მინისტრის სამიზნე გახდა, თუმცა, საბოლოო ან თუნდაც ხელშესახებ შედეგებამდე ვერც ერთმა მიიყვანა, რადგან ხელისუფლების ან სქემის ცვლილება სულაც არ ნიშნავს უკეთეს შედეგს. იყო თუ არა წლების განმავლობაში გაწეული შრომა და ფული წყალში გადაყრილი? ამის შესახებ ცენტრის ახლანდელი ხელმძღვანელი ამბობს, რომ უარყოფითად ვერ შეაფასებს, რადგან სქემამ მასწავლებელთა პროფესიული აქტივობა გააძლიერა. შესაძლებელია, უმეტესობამ კვლევა ან სამოდელო გაკვეთილი ვერ ჩაატარა, მაგრამ ისინი ესწრებოდნენ პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა აქტივობებს და შეიქმნა პროფესიული განვითარების კულტურა.

„ჩვენ ეს სისტემა ამ რეფორმით დავაკორექტირეთ. განათლების რეფორმა არასოდეს სრულდება, ის სულ იცვლება. სქემამ სკოლებში პროფესიული საქმიანობა გააააქტიურა, ახლა უნდა მოვიფიქროთ ისეთი აქტივობა, რომ ეს აისახოს სასწავლო პროცესზე.“

და მაინც, როგორ უნდა დავრწმუნდეთ შემოთავაზებული რეფორმის სისწორეში? ამის საზომად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი საერთაშორისო შეფასებების შედეგებს ასახელებს: *„მსოფლიო საგანმანათლებლო საზოგადოება შეთანხმებულია ამაზე. საერთაშორისო შეფასებაში თუ თქვენი სტუდენტების ქულები მაღლა იწევს, ესე იგი თქვენი განათლების სისტემა, გარკვეულწილად, მუშაობს. TIMSS, PIRLS, PISA ამოწმებს ბავშვის ცოდნას, კოგნიტურ უნარებს. ტესტი არ არის კარგი შემფასებელი, მაგრამ არსებულ მდგომარეობაში ჯერ მსოფლიომ უფრო კარგი შეფასების სისტემა, ვიდრე კოგნიტურ უნარებზე დაფუძნებული ტესტია, ვერ მოიგონა.“*

მოამზადა ლალი ჯელაძემ

გამოყენებულია ინტერვიუები ჟურნალ „ლიბერალიდან“ და ტვ1-იდან

სამოდელო გაკვეთილი

გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თემა	**მხატვრული ხერხების ამოცნობა-შექმნა**
სწავლების საფეხური, კლასი	საბაზო საფეხურის მე-8 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა	30
გაკვეთილის დროითი ჩარჩო	დაწყვილებული გაკვეთილი (ორი ორმოცდახუთი წუთი)
გაკვეთილის მიზნები	**1. ნასწავლი მხატვრული ხერხების გამეორება-განმტკიცება და შექმნა-გამოყენება (ტროპის სახეების თავისებურებების გააზრება, მათი ერთმანეთისგან გარჩევა) და ახალი მხატვრული ხერხის შესწავლა.** **2. 21-ე საუკუნის უნარების დახვეწა, გამჭოლი კომპეტენციების ჩამოყალიბება მოსწავლეებში.**
მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეები ✓ განამტკიცებენ ცოდნას მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე; ✓ შეისწავლიან პოეტურ გამეორებას და მის დატვირთვას; ✓ შექმნიან მხატვრულ სახეებს; გარდა ამისა, გაკვეთილის დამატებით დადებით ეფექტებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ: ✓ კოგნიტური სქემებით მოსწავლეებში გააქტიურდება სააზროვნო, სემიოტიკური, ხოლო პრაქტიკული დავალებებით – შემოქმედებითი უნარები; ✓ მოსწავლეები იმუშავებენ გუნდურად, წყვილებში და ინდივიდუალურად, რაც დახვეწს მათ უნარ-ჩვევებს.
ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები	**ქართ. VIII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ. ჰიპერბოლას, სახე-სიმბოლოებს, ალეგორიას, მეტაფორას და სხვ.) და ხსნის მათ დანიშნულებას; • შეაფასებს მხატვრულ სახეებს და გაიაზრებს მათ როლს ნაწარმოების შესაძლო ინტერპრეტაციაში; **ქართ. VIII. 10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • თხზავს მხატვრულ ტექსტებს: ჩანახატს, სცენარს როლური თამაშებისათვის, მცირე ზომის მოთხრობას.
გაკვეთილის ჩატარების წინაპირობა	მოსწავლეებს ნასწავლი უნდა ჰქონდეთ მხატვრული ხერხები: შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, ეპითეტი, ლიცენცია. ასევე ისინი გარკვეულ დონეზე მაინც უნდა ფლობდნენ გუნდური და წყვილებში მუშაობის უნარ-ჩვევებს.
მსვლელობა ნაბიჯ-ნაბიჯ (აქტივობები და დრო)	**A ფაზა** **გაკვეთილის მიზნების გაცნობა (სლაიდი I)** **აქტივობა I – გამოწვევა** **ა) ასოციაციური რუკა – პოეზია** მოსწავლეები ჩამოწერენ იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რაც ასოციაციურად გაახსენდებათ. შემდეგ ვსვამთ მაპროვოცირებელ შეკითხვას: აქედან რა შეიძლება არ ჰქონდეს პოეტურ ტექსტს და რის გარეშე ვერ იქნება იგი „პოეტური“? ბ) მოსწავლეები კითხულობენ პოეტურ ფრაზებს და ამოიცნობენ მხატვრულ ხერხებს. ამას აქვს მაპროვოცირებელი ხასიათი, რადგან ისინი ამოიცნობენ მხოლოდ ნასწავლ ხერხებს, ხოლო მოგვიანებით, მასალის ახსნის შემდეგ, იმავე ტექსტში შენიშნავენ სხვა ხერხსაც. **დრო** – 10წთ. **B ფაზა** **გაკვეთილი I** **აქტივობა I – გონებრივი იერიშით – შეკითხვებითა და საილუსტრაციო მასალით ნასწავლის გამეორება-განმტკიცება** მოსწავლეებს გავახსენებთ, რა არის ტროპი. ისინი ამოიცნობენ შედარებას, მეტაფორას, გაპიროვნებას, ეპითეტს, ლიცენციას. ასახელებენ, რა მხატვრული ხერხია და ცდილობენ დაასაბუთონ. **დრო – 15-20** წუთი **მასალა –** შესაბამისი სლაიდშოუ (4-15 სლაიდი). **აქტივობა II – წყვილებში მუშაობა** მოსწავლეებს დავურიგებთ ფურცლებს, ლიცენციის მაგალითებით. ისინი იმუშავებენ წყვილებში. დააკვირდებიან ლიცენციის მაგალითებს, ამოიცნობენ, რატომ დაარღვია მწერალმა გრამატიკული ნორმები. მოწინავე წყვილი წარმოადგენს სწორ პასუხებს და დანარჩენები ამოწმებენ. **დრო** – 10-15 წუთი (მუშაობისთვის – 8, წარდგენისთვის – 5-8). **გაკვეთილი II** **აქტივობა III – გუნდური მუშაობა** 6 გუნდი მუშაობს კოგნიტურ დიაგრამებზე. ერთმანეთს ადარებენ შედარებასა და მეტაფორას, მეტაფორასა და გაპიროვნებას, შედარებასა და გაპიროვნებას. **დრო** – 15-20წთ. (გუნდები მუშაობენ 10 წუთი, პრეზენტაცია – 5-10წთ) **აქტივობა IV – ახალი მხატვრული ხერხის გაცნობა (პოეტური გამეორება)** მოსწავლეები დააკვირდებიან შეთავაზებულ ტექსტს და, სავარაუდოდ, თავად გააკეთებენ დასკვნას, რომ პოეტმა მიმართა სიტყვის გამეორებას (წინააღმდეგ შემთხვევაში, მივმართავთ დამხმარე კითხვებს). გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებას – რა დატვირთვა აქვს გამეორებას, დაბოლოს, თავდაპირველად შეთავაზებულ ფრაზებში ამოიცნობენ პოეტურ გამეორებას. სლაიდი 19-24. **დრო** – 5წთ. **აქტივობა V – შექმენი მხატვრული სახე** ეს გახლავთ პრაქტიკული და სახალისო სავარჯიშო – მოსწავლეები უყურებენ სლაიდებს, რომელზეც ბუნების სურათებია გამოხატული და ქმნიან მხატვრულ სახეებს (იყენებენ მხატვრული სახეების თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში). **დრო** – 5წთ. **C ფაზა** **აქტივობა I** – შეჯამება – მოსწავლეები ასრულებენ ინდივიდუალურ დავალებას **დრო** – 10წთ.
მსვლელობა ნაბიჯ-ნაბიჯ (აქტივობები და დრო)	**აქტივობა II** – საშინაო დავალება: **1) შეავსეთ თვითშეფასების რუბრიკა;** **2) შექმენით მხატვრული ტექსტი შესწავლილი მხატვრული ხერხების გამოყენებით და თავად დაასათაურეთ. ზოგადი თემა – გაზაფხული;** **3) წაიკითხეთ „ხმა კატამონთან“.** **(სლაიდი 37-ე)** **აქტივობა III – შეფასება** ➢ ინდივიდუალური სამუშაო – განმსაზღვრელი შეფასება; ➢ განმავითარებელი, სიტყვიერი შეფასება-დაკვირვების საფუძველზე; ➢ **მოსწავლეების თვითშეფასება – კითხვარის საშუალებით.** **აქტივობა IV – რეფლექსია** 1. ყველაზე მეტად მომეწონა... 2. არ მომეწონა... 3. ჩემთვის ბუნდოვანი დარჩა... **დრო** – 3-5წთ.
შეფასება	➢ ინდივიდუალური სამუშაო ფასდება დავალებაში მითითებული ქულების მიხედვით (მოსწავლეები შედეგებს შეიტყობენ შემდეგ გაკვეთილზე); ➢ განმავითარებელ სიტყვიერ შეფასებას მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს დაკვირვების საფუძველზე; ➢ მოსწავლეებს ურიგდებათ თვითშეფასების კითხვარები, რომლითაც აფასებენ საკუთარ თავს და განეულ სამუშაოს.
საკლასო მენეჯმენტი	დაფა, მარკერები, ფურცლები, კალმები, კომპიუტერი, პროექტორი და შესაბამისი სლაიდშოუ, ამობეჭდილი ფურცლები, რომლებზეც დავალებია ჯგუფური, ინდივიდუალური თუ წყვილებში მუშაობისთვის; შეფასების რუბრიკები.
საგანმანათლებლო რესურსები	გაკვეთილის ელექტრონული რესურსების შექმნისათვის გამოვიყენე: Microsoft PowePoint Presentation; გარკვეული მასალების მოსაპოვებლად – **Google**-ის საძიებო სისტემა. **ბმულები:** https://www.slideshare.net/likako/ii-3445320 http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf http://online.iliauni.edu.ge/uploads/download/5799afd0dfdb2.pdf

შენიშვნა: გაკვეთილის ჩატარება თავისუფლად შეიძლება მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასებში ამ საკითხების განმტკიცების მიზნით – გეგმის მცირე მოდიფიკაციით.

სამოდელო გაკვეთილის რეფლექსია
(მხატვრული ხერხები)

საკითხის აქტუალობა

მხატვრული ხერხების ცოდნა გათვალისწინებულია მერვე კლასის სტანდარტითა და სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემული პროგრამით. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ამ ხერხების ამოცნობა და ერთმანეთისგან გარჩევა. ეს ამზადებს ნიადაგს ტექსტის გაგება-გააზრებისთვის, მხატვრული ანალიზისთვის (რაც, მოგეხსენებათ, მისაღებ გამოცდებზე ტექსტის ანალიზის მესამე და თითქმის მუდმივი, შეუცვლელი საკითხია). ამასთან, მხატვრული ხერხების ამოცნობა-გაანალიზება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც მოსწავლეს შემოქმედებით აზროვნებას უვითარებს და კარგ მკითხველად აყალიბებს.

სწორედ ამიტომ, ამ საკითხებზე განუწყვეტლივ უნდა ხდებოდეს აქცენტირება, სანამ მოსწავლეში არ გამომუშავდება მხატვრული სახეების სწორად აღქმა-წაკითხვისა თუ შექმნის უნარი. მით უფრო, რომ *„თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის და ა.შ. უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს“.* გაკვეთილის მიზნების მიღწევა კი არ გახლავთ ერთჯერადი პროცესი, სწორედ ამიტომ ერთსა და იმავე მიზნებს არაერთხელ ვისახავთ და არაერთხელ ვცდილობთ ამა თუ იმ უნარის გამომუშავებასა და დახვეწას.

დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებს უჭირთ მხატვრული ხერხების სწორად ამოცნობა. ამას ისიც ემატება, რომ კლასს ახალი მოსწავლეები შემოემატნენ და ამდენად, მათთან ამ საკითხებზე არ მიმუშავია. სადიაგნოსტიკოდ ჩავატარე მცირე ანონიმური გამოკითხვა, რომელმაც მიჩვენა, რომ კლასის უმეტესობამ კარგად არ იცის მხატვრული ხერხები და ერთმანეთში ერევათ შედარება და მეტაფორა, მეტაფორა და გაპიროვნება და ა.შ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დავგეგმე ინტერაქტიული გაკვეთილი. გაკვეთილის მიზნები, რომელიც სრულიად შეესატყვისება ესგ-ს, მოსწავლეებს გავაცანი და, გამოწვევის შემდეგ, მივმართე ერთგვარ გონებრივ იერიშს, ოღონდ განსხვავებული ფორმატით – სლაიდშოუთი შეკითხვა და მაგალითები სლაიდებზე იხსნებოდა, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეების კონცენტრირებას, მობილიზებას. გარდა ამისა, როცა მათ რომელიმე მხატვრული ხერხი უნდა ამოიცნონ, მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვით, წარმოთქმული ციტატით, ვფიქრობ, ძნელია სხარტად გააზრება, ხოლო როცა სმენასთან ერთად ხედვაცაა ჩართული (მოსწავლეს ესმის ფრაზა და თან ეკრანზე ხედავს), ბევრად ადვილია კონცენტრირება. გარდა ამისა, ეს დროის დაზოგვის საშუალებასაც გვაძლევს, რადგან, ბუნებრივია, რომ თვალი ერთბაშად აღიქვამს დიდ არეალს და ის რამდენიმე ფრაზა, რომელიც ეკრანზე ჩნდება, ერთი შეხედვით აღიქმება, ამდენად, ბევრად მეტ დროს ნაიღებდა ცალ-ცალკე ამ ფრაზების წარმოთქმა, მერე ბავშვების დაფიქრება და პასუხების მოსმენა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამგვარად მეტი საილუსტრაციო მასალის გამოყენებაა შესაძლებელი.

სლაიდშოუ დამეხმარა, აგრეთვე, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაში, რადგან აქ იყო სურათები, რომლის მიხედვითაც მხატვრული ხერხები თავად უნდა შეექმნათ.

მოსწავლეებმა შეძლეს ინდივიდუალური, წყვილებში და გუნდური მუშაობა. რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალურად არ ყოფილა, ზოგს გაუჭირდა დამაჯერებლად აზრის გადმოცემა, ზოგს, ემოციური ფონის გამო, მორიდებულობა ეტყობოდა, მაგრამ ეს ბუნებრივია. მე ვცდილობდი, გამემხნევებინა მოპასუხე, მაშინაც კი, როცა იბნეოდა და აზრი „უწყდებოდა“. ჩემი სიტყვიერი, განმავითარებელი შეფასებები, ვფიქრობ, დაეხმარება მათ ამ უნარების დახვეწასა და ხარვეზების გამოსწორებაში.

გონებრივი იერიში აქტიურად წარიმართა და ყველა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ზოგი მეტად აქტიურობდა და ზოგი – ნაკლებად, ზოგი სხარტად რეაგირებდა და ზოგი – შედარებით ნელა, ზოგს ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი და ზოგს – მცირე რაოდენობაზე, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, სწორედ ამიტომ იყო საჭირო ამ მასალის თავმოყრა – გამეორება-განმტკიცება. შედარებით არაეფექტური მომეჩვენა წყვილებში მუშაობა. შევნიშნე, რომ წყვილებში აზრის გაზიარებას ერჩივნათ, ინდივიდუალურად შეესრულებინათ დავალება. ვფიქრობ, ეს საკომუნიკაციო პრობლემაა და ისევ და ისევ წყვილებში, გუნდებში, პროექტებში მუშაობით გამოსწორდება. ეს ხომ ის უნარ-ჩვევაა, რომლის გამომუშავებაც ერთჯერადად შეუძლებელია. სამომავლოდ, ისე უნდა დავგეგმო წყვილებში თუ გუნდებში მუშაობა, რომ ერთმანეთის გარეშე გაუჭირდეთ შესრულება, ანუ იგრძნონ ერთმანეთის ჩართულობის საჭიროება.

ვფიქრობ, გაკვეთილით მიზანს მივაღწიე. ამის დასტურია მოსწავლეთა თვითშეფასებები (მათ საკმაოდ რეალისტურად შეაფასეს საკუთარი თავი – 0 ქულა არავის დაუწერია, მაგრამ

სამოდელო გაკვეთილი

არც სრული თვითკმაყოფილება გამოუხატავთ, რაც პროგრესის საფუძველია), გაკვეთილის რეფლექსიები (რომელშიც კლასის უმეტესობა აღნიშნავს, რომ ბუნდოვანი არაფერი დარჩა) და ინდივიდუალური დავალება, რომლის შედეგებიც ასეთია:

- ➪ არც ერთი არადამაკმაყოფილებელი შეფასება!
- ➪ 6ქ. – 3 მოსწავლე;
- ➪ 7ქ. – 8 მოსწავლე;
- ➪ 8ქ. – 4 მოსწავლე;
- ➪ 9ქ. – 6 მოსწავლე;
- ➪ 10ქ. – 6 მოსწავლე.

და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ წელს შემომემატა რამდენიმე მოსწავლე, რომლებმაც, ფაქტობრივად, აქ ისწავლეს მხატვრული ხერხების გარჩევა. საკლასო სამუშაოს უფრო ღრმა ანალიზი კი საშუალებას მაძლევს, გავარკვიო, სად უჭირთ მოსწავლეებს და ისე დავგეგმო შემდგომი პროცესი (ეს გახლავთ მეტაფორა და ლიცენცია).

რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო შედეგი, მაგრამ იმის ფონზე, რომ პირველადი გამოკითხვისას მხოლოდ სამმა მოსწავლემ დაწერა, რომ კარგად არჩევს მხატვრულ ხერხებს, ხოლო დანარჩენები აღნიშნავდენენ, რომ ერთმანეთში ერეოდათ შედარება და მეტაფორა, მეტაფორა და გაპიროვნება (და სხვა), ვფიქრობ, არც თუ ისე ცუდი შედეგია (დანარჩენი კი შემდგომი მუშაობის საკითხია).

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე დავგეგმე აქტივობები და განსაკუთრებით – გუნდური სამუშაო, რომელშიც (მას შემდეგ, რაც ცალ-ცალკე განვიხილეთ თითოეული მხატვრული ხერხი), დიაგრამების გამოყენებით უნდა შეედარებინათ ერთმანეთისთვის ის ხერხები, რომელიც ყველაზე ხშირად ერეოდათ ერთმანეთში.

როგორც ყველაფერს, ამ გაკვეთილსაც ჰქონდა ერთგვარი ხარვეზები – მაგალითად, ის, რომ გაკვეთილის პირველი ნაწილი ბუნებრივად წარიმართა, მაგრამ მეორე მონაკვეთი იმაზე დინამიკური აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. მოსწავლეებმა საკმაოდ სწრაფად გაართვეს თავი გუნდურ სამუშაოს, სხარტად წარმოადგინეს პრეზენტაციებიც. ეს, თავისთავად, სასიხარულო და მისასალმებელია, მაგრამ „დამრჩა“ ერთგვარი თავისუფალი დრო და საჭირო გახდა გეგმის მოდიფიცირება, ამიტომ გაკვეთილს „დავუმატეთ“ ზეპირი რეფლექსია და საშინაო დავალების ჩანიშვნის შემდეგ, განვიხილეთ ინდივიდუალური სამუშაოს კითხვები. რეალურად, ეს ცუდი არ იყო, რადგან მოსწავლეებს ძალიან აინტერესებდათ სწორი პასუხების გაგება, თუმცა, ეს იყო ჩემი გეგმის მინუსი.

ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩავატარე ანალოგიური გაკვეთილი პარალელურ კლასში. დაწყვილებული გაკვეთილი არ მქონდა და გადავწყვიტე, გეგმაში რაღაც დეტალები შემეცვალა. საილუსტრაციო მასალის შემცირებისა და გუნდური სამუშაოს ამოღების ხარჯზე ჩავეტიე ერთ გაკვეთილში, თუმცა, მიმაჩნია, რომ კოგნიტურ სქემებზე მუშაობა მოსწავლეთათვის ბევრის მომცემია და ეს განსაკუთრებით დაეხმარა მათ (პირველ შემთხვევაში) მხატვრული ხერხების ერთმანეთისგან გარჩევაში.

http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/sascavlo procesis dagegmva.pdf

ნინო ნასყიდაშვილი
აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის №42 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მე და საზოგადოება

ელენე ჯელაძე
სსიპ თბილისის 147-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის წამყვანი პედაგოგი

2018-2019 სასწავლო წელს, სკოლებში (III-IV კლასებში), ახალი საგნის – „მე და საზოგადოება“ – სწავლება დაინერგა, კვირაში ორსაათიანი დატვირთვით. საგანი მოსწავლეებს აცნობს სოციალურ გარემოს, სხვადასხვა ყოფით თემებს, როგორებიცაა: ოჯახი, წინაპრები, მეგობარი, სკოლა, უფლებები, მოვალეობები და ასე შემდეგ.

მე, როგორც ამ საგნის ერთ-ერთ პედაგოგს, გამიჩნდა სურვილი, გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებები და გამოცდილება ახალი საგნის შესახებ. დავიწყებ იმით, რომ საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ახალი საგნის შემოღებამ. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ ამ საქმის შესრულება მეც მომიწევდა. ამიტომ არ ვიყავი ისეთი დაინტერესებული, რომ მუდმივად მედევნებინა თვალყური, მაგრამ როგორც პედაგოგი მაინც ვინტერესდებოდი გამეგო, რა მოსაზრებები გამოითქმოდა საგნის ირგვლივ. ზაფხულში, როცა ტრენინგზე დაგვიძახეს, სიმართლე გითხრათ, ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. ტრენინგი სახელმძღვანელოს გარეშე გავიარეთ. ტრენერის მიერ დასახელებული თემები, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავდა სამოქალაქო განათლებისა და ბუნებისმეტყველების საკითხებს. მეც, ისევე როგორც სხვა პედაგოგებს, გამიჩნდა კითხვა – ამას ხომ ისედაც ვასწავლით?

ახლა კი, როცა მაქვს საგნის სწავლების გარკვეული გამოცდილება, მინდა შევაჯამო პირველი სემესტრი. „მე და საზოგადოების“ თავისებურება ის არის, რომ შინაარსის სწავლება არ მოითხოვს სპეციალურ საგნობრივ ცოდნას. სკოლაზე, ოჯახზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე მსჯელობა არც მოსწავლეებისთვის წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. მუშაობის მომენტში ბევრი საინტერესო სადისკუსიო თემა გამოვლინდა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, პრეზენტაციის, აღმოჩენების გაკეთების უნარების ჩამოყალიბებას. ჩემი გამოცდილებით აღვნიშნავ საგნის რამდენიმე ძლიერ მხარეს. დანერგვისას აქტიურად განიხილებოდა, ვის უნდა ესწავლებინა საგანი. მოგვიანებით გადაწყდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო დაწყებითი კლასის მასწავლებელი ან დამრიგებელი. ყოველი გაკვეთილის შემდეგ ვრწმუნდები, რომ ეს ზუსტი და სწორი მიგნება იყო სამინისტროს მხრიდან. საგნის სტანდარტი იმგვარადაა აგებული, რომ პედაგოგი გვერდს ვერ აუვლის კითხვას – რა უნდა გავაკეთო, რომელი აქტივობით უნდა ჩავანაცვლო ესა თუ ის თემა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად გამოვიყენო. ასევე ძლიერი მხარეა ის, რომ პედაგოგი არ არის შეზღუდული, მას

> *„მე და საზოგადოების“ სწავლებას, გარკვეული თვალსაზრისით, საფრთხეებიც ახლავს. მისი სწავლებისას ვიგრძენი დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც დამეკისრა. მთელი სემესტრის განმავლობაში მქონდა განცდა, რომ გაკვეთილის დაწყების წინ, კართან დამხვდებოდა მშობელი კითხვების „დასტით“ – შესაძლოა რაიმე საკითხი საეჭვოდ მოსჩვენებოდა.*

უფლება აქვს გაკვეთილი ისე დაგეგმოს, როგორც სურს. პირველ სემესტრში გავლილი საკითხებიდან გვერდს თითქმის ვერც ერთს ვერ ავუვლი.

ჩემი ოჯახი – ამ საკითხის განხილვისას მოსწავლეებს ისეთი პრეზენტაციები ჰქონდათ, პირველ გაკვეთილზევე ვიგრძენი საგნის სწავლების აუცილებლობა და მაშინვე გამიქარწყლდა კითხვა – ამას ისედაც ხომ ვასწავლიდით? მივხვდი, რომ რომელიმე გაკვეთილზე ამ საკითხებისთვის დათმობილი ხუთი წუთი არასაკმარისია. ბევრს გაუჭირდა წინაპრების სახელისა და გვარის გახსენება, დააზუსტეს მშობლებთან, თავი მოუყარეს ინფორმაციას და ისე მოამზადეს პრეზენტაციები.

როგორც ვიცით, საკლასო გარემოზე, მეგობრებზე, თანატოლებზე, კონფლიქტების მოგვარებაზე მსჯელობა მოსწავლეებს უყალიბებს ღირებულებათა სისტემას და სამოქალაქო პასუხისმგებლობას. პასუხების განხილვისას, ბევრჯერ დამაფიქრა მოსწავლეების მსჯელობამ. თვალნათლივ დავინახე თაობათა ცვლა. როგორ გაზრდილან III-IV-კლასელები და ვერ ვამჩნევდით ამას ბუნების, ქართულისა და მათემატიკის გაკვეთილებზე. დავფიქრდი კიდევ ერთ საკითხზე – ხომ შეიძლება, მორცხვ, გაუბედავ მოსწავლეს, ერთხელ, თავისი სახლის ბინადრებზე სურდა საუბარი და ვერ ბედავდა ან ფიქრობდა, რომ ამდენ დროს ვერ დავუთმობდით და ვერ მოვუსმენდით. ახლა მას რამდენიმე გაკვეთილი ჰქონდა იმისთვის, რომ გაგვეცნო მისი გარემო, საყვარელი ადამიანები თუ საგნები, თუნდაც ყვავილი, რომელზეც ის ზრუნავს.

რა თქმა უნდა, საგნის სწავლებას, გარკვეული თვალსაზრისით, ასევე საფრთხეებიც ახლავს. მისი სწავლებისას ვიგრძენი დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც დამეკისრა. მთელი სემესტრის განმავლობაში მქონდა განცდა, რომ გაკვეთილის დაწყების წინ, კართან დამხვდებოდა მშობელი კითხვების „დასტით“ – შესაძლოა რაიმე საკითხი საეჭვოდ მოსჩვენებოდა.

იყო შემთხვევა, როდესაც ჩემი კოლეგა, რომელიც დაწყებით კლსებში სხვადასხვა საგნის პედაგოგია, დაინტერესდა, როგორ ვასწავლიდი მოსწავლეებს მათ უფლებებს. მომიყვა ამბავი, რომ წინა ღამით, დაახლოებით, 23.00 საათზე მისმა მესამეკლასელმა შვილმა ვახშმის მირთმევა ისურვა. რა თქმა უნდა, დედა შეეწინააღმდეგა, მაგრამ ბავშვისგან პასუხად მიიღო, რომ მას აქვს ჭამის უფლება. კოლეგამ მთხოვა რჩევა – კონკრეტულ სიტუაციაში რა შეიძლება უპასუხოს ბავშვს. ძალიან დამაფიქრა ამ საკითხმა. მშობელს ავუხსენი, რომ უფლებების შემდეგ მოდის გაკვეთილის თემა – მოსწავლის მოვალეობები. თუმცა, მოსწავლემ ძალიან კარგად „ისარგებლა“ თავისი უფლებების მოთხოვნით, სანამ გაეცნობოდა საკუთარ მოვალეობებს. ამ შემთხვევამ გადამაწყვეტინა, სწავლების პროცესში, უფლება-მოვალეობები გამეერთიანებინა, დამეთმო ორი-სამი საათი და „უფლება“ „მოვალეობასთან“ ერთად მესწავლებინა. მაგალითად, როდესაც ვისწავლეთ, რომ მოსწავლეს აქვს ჭამის უფლება, აქვე განვიხილეთ დღის რეჟიმის დაცვის ვალდებულებაც. როდესაც მოსწავლემ გაიგო, რომ მას აქვს უფლება, იყოს ოჯახის სრულფასოვანი წევრი და მის აზრს პატივი უნდა სცენ, აქვე გავიაზრეთ, რომ თვითონაც ვალდებულია, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები: ისწავლოს, პატივი სცეს უფროსებს და დაიცვას ოჯახის ღირსება. ზემოთ ხსენებული ამბავი, რომელიც კოლეგისგან მოვისმინე, ვაქციე სიტუაციად და განვიხილეთ გაკვეთილზე. მოსწავლეებმა დაასკვნეს – ჩვენი უფლებების გაცნობა არ ნიშავს იმას, რომ დავიწყოთ მოვალეობები.

ამრიგად, ჩემი აზრით, „მე და საზოგადოების“ სწავლებისას მოსწავლეები შეიძენენ სოციალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, ყოველდღიურად ხდება მათი პიროვნული განვითარება და, რაც მთავარია, ადრეული ასაკიდან ეჩვევიან თავისუფალ აზროვნებას. რეკომენდაციის სახით კი, კარგი იქნება, თუ წიგნის ავტორი პედაგოგების გამოცდილებას გაითვალისწინებს, თუნდაც ზემოთ ხსენებული ჩემ მიერ გამოყენებული მეთოდის მაგალითზე (უფლებებისა და მოვალეობების ერთად მიწოდება). ვფიქრობ, მუშაობის პროცესში კიდევ წამოიჭრება არაერთი საკითხი, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება, კომუნიკაცია მშობლებთან, თუნდაც რომელიმე საგანმანათლებლო გაზეთში (ჟურნალში) პერიოდული რუბრიკის გამოყოფა ამ ახალდანერგილი საგნის საკითხებზე მსჯელობისათვის.

ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲬᲐᲠᲓᲝᲗ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში სკოლებში შესამჩნევად შემცირდა ინტერესი ბუნებისმეტყველების საგნების მიმართ, განსაკუთრებით კი ქიმიის მიმართ. ეს მაშინ, როცა ქიმია არის საგანი, რომელიც მოსწავლეს უვითარებს ლოგიკურ აზროვნებას, უყალიბებს ყოფით და ნივთიერებებთან ურთიერთობის კულტურას. ამიტომ მიმაჩნია, რომ ქიმია-ბუნებისმეტყველების მასწავლებლის მოვალეობაა, მოსწავლეებს გაუძლიეროს მოტივაცია ამ საგნების მიმართ. ერთ-ერთი გზა ამ მიმართულებით კი სამეცნიერო კვლევებში მათი ჩართვაა, ამის საშუალებას იძლევა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“. მინდა გაგიზიაროთ ამ კუთხით ჩემი გამოცდილება.

როგორც წინა სტატიაში ვწერდით, 2017 წელს მოვიგეთ გრანტი „ლისის ტბის ჰიდრობიოქიმიური მდგომარეობის შეფასება“, რომლის შესრულებაშიც ჩართული იყო მერვე და მეცხრე კლასების 13 მოსწავლე. წარმოდგენილი პროექტის ძირითადი მიზანი იყო:

- სკოლის მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში;
- დაინტერესება მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით და საველე ექსპედიციური სამუშაოებით;
- კვლევითი უნარების გაძლიერება;
- ლისის ტბის წყლის თანამედროვე ჰიდრობიოქიმიური მდგომარეობის შეფასება.

ამ პროექტის ფარგლებში, მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო თეორიული ცოდნის მიღება, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკული განმტკიცება საველე პირობებში (საკვლევ ობიექტზე) ექსპედიციური მეცადინეობების ჩატარებით. ისინი ადგილზე ატარებდნენ პირველი დღის ანალიზს, იღებდნენ წყლის ნიმუშებს, ამზადებდნენ მათ ტრანსპორტირებისათვის და ლაბორატორიული ანალიზების ჩასატარებლად; გაეცვნენ წყლის ხარისხის განმსაზღვრელი ნაერთების იდენტიფიცირების თანამედროვე მეთოდებს; შეისწავლეს ლაბორატორიული გაზომვების მონაცემების პროგრამული დამუშავების მეთოდები, რიცხობრივად შეაფასეს ლისის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობა პერსონალური კომპიუტერის საშუალებით; შეიძინეს ანალიზის შედეგების სისტემატიზაციისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარები; მონაწილეობა მიიღეს ლისის ტბის წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებების შემუშავებაში და, რაც მთავარია, დარწმუნდნენ, რომ მშობლიურ გარემოს უნდა გაუფრთხილდნენ და იზრუნონ მასზე, გაუღრმავდათ ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნებისადმი, გააცნობიერეს ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიცაა წყლის რესურსების დაცვა დაბინძურებისგან. განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ წყლის ხარისხის მონიტორინგს, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ ლისის ტბაზე.

ლისის ტბაზე ჩატარებული კომპლექსური კვლევისათვის (ჰიდროქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური) მოსწავლეებმა აითვისეს და საველე პირობებში გამოიყენეს თანამედროვე გამზომი მობილური აპარატი, უახლესი ლაბორატორიული ტექნიკა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდები [1-4], რაც მოიცავდა შემდეგს:

- საანალიზო სინჯების აღების წერტილების ინვენტარიზაციას საკვლევი რეგიონის სრული ფონური მონიტორინგის განხორციელების მიზნით;
- საანალიზო სინჯების აღებისა და ტრანსპორტირების განხორციელებას ISO 5667-4:1987 სტანდარტის შესაბამისად, ლაბორატორიაში დანერგილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურის მიხედვით;
- საველე ე.წ. პირველი დღის ანალიზს – ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების (pH, ტემპერატურა, ელექტროგამტარობა, მარილიანობა, გახსნილი ჟანგბადი) განსაზღვრას შესაბამისი უახლესი მობილური აპარატურით;
- აღებული სინჯების ლაბორატორიულ ანალიზს: ქიმიურს (კათიონები, ანიონები, ბიოგენური ნაერთები და ორგანული დამაბინძურებლები) და მიკრობიოლოგიურს (ტოტალური კოლიფორმები, E-Coli, ფეკალური სტრეპტოკოკები, მიკრობთა საერთო რიცხვი – მემბრანული ფილტრაციის მეთოდით).

მონაცემთა დამუშავება-ანგარიშგება ხდებოდა ანალიზის ცდომილების გათვალისწინებით, ხარისხის წიგნის შესაბამისად, რომელიც შექმნილია ISO 17025-ის მიხედვით.

კვლევის პროცესში, დაკვირვების წერტილების შერჩევის შემდეგ (ნახ.1), ჩატარებულია ოთხი ექსპედიციური გასვლა, აღებულია 13 საანალიზო ნიმუში, გამოყენებულია აგრეთვე გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები [5].

ნახ.1. ლისის ტბაზე შერჩეული დაკვირვების წერტილები

წყლის ხარისხის მონიტორინგი წარმოებს სხვადასხვა საკონტროლო მაჩვენებლების საფუძველზე, რომელთაგან მოსწავლეები საზღვრავდნენ:

წყლის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს:

- ტემპერატურა სინჯის აღების მომენტში;
- °C სუნი: 20°C-ზე ხარისხობრივად;
- გამჭვირვალობა, სმ.

წყლის ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლებს:

- წყალბადმაჩვენებელი (pH);
- შეწონილი ნაწილაკები, მგ/დმ^3;
- ელგამტარობა, მსმს/სმ;
- წყლის მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი), მგ/დმ^3;
- საერთო სიხისტე, მგ.ექვ./დმ^3;
- მთავარი კათიონები და ანიონები, მგ/დმ^3.

წყლის ხარისხის სანიტარიულ მაჩვენებლებს:

- ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (ჟბმ), სრული, მგ/დმ^3;
- გახსნილი ჟანგბადი, მგ O_2/დმ^3;
- ამონიუმის მარილები, მგ/დმ^3;
- ნიტრატები, მგ/დმ^3;
- ნიტრიტები, მგ/დმ^3;
- ფოსფატები, მდ/დმ^3.

წყლის მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს:

- ტოტალური კოლიფორმები 1დმ^3;
- ეშიროხია კოლი (E-Coli), 1დმ^3;
- ფეკალური სტრეპტოკოკები, 1დმ^3.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდში მიღებული შედეგების ანალიზი ჩატარებულია თვითონ მოსწავლეების მიერ და მათ მიერვე ჩამოყალიბებულია დასკვნები, რომ ლისის ტბის წყალი არის მაღალმინერალიზებული (2500-3000 მგ/ლ), სულფატური, კალციუმის და მაგნიუმის მაღალი შემცველობით, რაც განაპირობებს მისი წყლების მაღალ სიხისტეს, 16-22 მგ/ლ ფარგლებში; ლისის ტბის წყლის მაღალ სულფატურობას კი განაპირობებს ამ მიდამოებში არსებული გოგირდიანი თერმული წყლები.

ლისის ტბის წყალი ხასიათდება სუსტი ტუტე არით, pH-ის მნიშვნელობა ნორმის ზედა ზღვართან არის ახლოს და მერყეობს pH= 8.00-8.27-ის ფარგლებში, შედეგად, ინტენსიურად მიმდინარეობს მძიმე ლითონების ჰიდროლიზი და ისინი მცირედხსნადი ან უხსნადი ჰიდროქსიდების ფორმით ილექებიან ტბის ფსკერზე.

წყლის ხარისხის სანიტარიული მაჩვენებლებიდან შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აჭარბებს მხოლოდ გახსნილი ჟანგბადის მაქსიმალური მნიშვნელობა და ამონიუმის იონი – ყველა შემთხვევაში. ნიტრიტების, ნიტრატების და ფოსფატების კონცენტრაციები ლისის ტბის წყლებში ბევრად ნაკლები იყო შესაბამისი ზდკ-ს მნიშვნელობაზე. ამონიუმის იონის მაღალი კონცენტრაციები კი მიგვითითებს ლისის ტბის წყლების ფეკალიებით დაბინძურებაზე. ზოგადად, ლისის ტბის წყალი ჩაითვლება მცირედ დაბინძურებულად ფეკალიებით და ამონიუმის იონით. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი ორგანიზმებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპონენტების – K^+, Na^+, Ca^{2+}, Mg^{2+}-ის შემცველობები დამაკმაყოფილებელია.

ლისის ტბაზე ჩატარებულმა მიკრობიოლოგიურმა მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ კვლევის პერიოდში E.coli-ს მაღალი კონცენტრაციები არ დაფიქსირებულა, მისი მნიშვნელობა მერყეობდა 200-4000 ერთ/ლ-ის ფარგლებში. იდენტიფიცირებული კოლიფორმების და ფეკალური სტრეპტოკოკების კონცენტრაციები კი მიგვანიშნებენ წყლის მცირე დაბინძურებას.

განსაკუთრებულად მინდა გავუსვა ხაზი მოსწავლეების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს: მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულმა მონიტორინგმა გვიჩვენა ლისის ტბის წყლის მცირედ დაბინძურება, მიგვაჩნია, რომ აქ, სისტემატურად, უნდა ჩატარდეს ეკოლოგიური მონიტორინგი. ამის საფუძველს გვაძლევს ამ რეკრეაციული ზონის სულ უფრო მზარდი პოპულარობა და გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში დამსვენებელთა ნაკადის ინტენსივობა.

აუცილებელია გამკაცრდეს ადმინისტრაციული კონტროლი, განისაზღვროს სხვადასხვა დონის ჯარიმები მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის (მათ შორის ნარჩენების განთავსების) დარღვევებზე. ტბის გარშემო, დასასვენებელი პარკის ტერიტორიაზე, დამატებით დაიდგას ნაგვის ურნები და განთავსდეს ბანერები, მოწოდებებით – „გავუფრთხილდეთ გარემოს“.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ სასარგებლოა მოსწავლეთა ჩართვა სამეცნიერო კვლევის პროცესში.

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ვლ. კომაროვის თბილისის 199-ე საჯარო სკოლის ქიმია-ბუნებისმეტყველების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.სუპატაშვილი – გარემოს ქიმია (ეკოქიმია), თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ187. 2009;
2. Фомин Г.С., Фомин А.Г. – Вода. Контроль качества и экологической безопасности по международным стандартам. Справочник. Москва, 2001.
3. Руководство по методам гидробиологического анализа поверхностных вод и донных отложений. – Гидрометеоиздат, Ленинград, 240 ст., 1983
4. ლიცენზირებული საერთაშორისო ISO სტანდარტები QA/QC (ხარისხის შეფასება/ხარისხის კონტროლი) [ISO 17025];
5. გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი – nea.gov.ge

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 1: ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐ

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2: ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐ

პედაგოგთა დასახმარებლად

ფოტოსინთეზი – FOTOSINTEZ

სონა კახრამანოვა
გარდაბნის №6 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი გვარი, პირადი ნომერი: Kahramanova Sona, //////
საგანი: Biologiya
სწავლების საფეხური/კლასი: VIII
მოსწავლეთა რაოდენობა: 10
გაკვეთილის თემა: Fotosintezdə iştirak edən maddələr. Xlorfil və günəş enerjisinin fotosintezdə rolu. Fotosintezin əhəmiyyəti.
გაკვეთილის მიზანი: Şagird fotosintez və tənəffüsü fərqləndirer fotosintezin başlangic və son məhsulları şəklində sxem təqdim edə bilir.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	Sinfin təşkili		Ümumi sinif işi	Dərslik,test, kartoçka, kompyuter, proektor, təbaşir, lövhə, plakatlar, iş vərəqləri və s.	1 dəq.
2	Keçmiş mövzudakı biliklərin aktivləşməsi	Beyin həmləsi, əqli hücm	Fərdi iş, ümumi sinif işi	Dərslik, test, kartoçka, kompyuter, proektor, təbaşir, lövhə, plakatlar, iş vərəqləri və s.	15 dəq
3	Yeni dərsin izahı, Yeni dərsin möhkəmləndirilməsi	Mini mühazirə Müsahibə	Bütün sinif, qrup işi	Dərslik, test, kartoçka, kompyuter, proektor, təbaşir, lövhə, plakatlar, iş vərəqləri və s.	23 dəq.
4	Qiymətləndirmə	İnkişaf etdirici və müəyyənləşdirici qiymətləndirmə		Qiymətləndirmə rubrikası	3 dəq.
5	Ev tapşırığının verilməsi		Dərslik və internet vasitəsilə məlumatların yazılı və şifahi şəkildə hazırlanması.		3 dəq.

შეფასება:
საგანი: Biologiya
კლასი: VIII

Qiymətləndirmə	1-2–3–4	5-6	7-8	9-10
1. Şagirdlər Fotosintez və əhəmiyyəti haqqında biliklərə sahib oldu	Şagird Fotosintez və əhəmiyyəti haqqında heç bir biliyə sahib deyil	Şagird Fotosintez və əhəmiyyəti haqqında səth biliyə malikdir	Şagird fotosintez və əhəmiyyəti haqqında əks məlumatları mənimsəyib	Şagird fotosintez və əhəmiyyəti haqqında kifayət qədər biliyə malikdir
2. Şagir fotosintezin ilk və son məsullarını göstərə bilirlər	Şagird fotosintezin ilk və son məsullarını göstərə bilməz	Şagird fotosintezin ilk və son məsullarının göstərməyə cəhd edə bilər	Şagird fotosintezin ilk və son məsulları haqqında bilikdə kiçik qüsurlarla da olsa göstərə bilər	Şagird fotosintezin ilk və son məsullarini sərbəst şəkildə göstərə bilir.

ხელმოწერა:
თარიღი:

რეფლექსია

Mən 6 saylı Qardabani orta məktəbinin biologiya müəllimi Qəhramanova Sona VIII sinfində "Fotosintezdə iştirak edən maddələr, Xlorofil və günəşenerjisinin fotosintezdə rolu. "Fotosintezin əhəmiyyəti" mövzusunda açıq dərs keçirdim. Dərsin məqsədi şagirdlərin fotosintez və tənəffüsü bir – birindən fərqləndirə bilmələri və fotosintezin başlanğıc və son məhsullarını təqdim edə bilmələri idi. Dərs planına uyğun olaraq dərs məqsədlərini yaratdım. Dərsi gender məsələləri, şagirdlərin xüsusi təhsilə ehtiyacları və onların sosial-iqtisadi vəziyyətini nəzərə alaraq planlaşdırdım. Dərsin məqsədinə nail oldum. Dərs prosesində şagirdlərin xüsusi ehtiyaclarını, sosial vəziyyətlərini sinif və ya ev tapşırığını verdiyim zaman: inkişafetdirici və müəyyənləşdirici qiymətləndirmə zamanı nəzərə aldım. Bu mövzu biologiya fənnində kifayət qədər çətin və böyük həcmdə mövzu olduğuna baxmayaraq qarşıya qoyduğumuz məqsədə nail olduq. Bunu şagirdlərin sual-cavabda fəal iştirakı bir daha təsdiqlədi.

შეფასების კომისიის რეკომენდაცია და კომენტარი

მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის იყო კეთილგანწყობილი ურთიერთობა. მასწავლებელი არ ზღუდავს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის დროს, ხელს უწყობს მათ სწორი მიმართულებით აზროვნებაში. სონა კახრამანოვას მიერ ჩატარებული გაკვეთილი იყო დატვირთული სწავლის თანამედროვე მეთოდებით და პასუხობდა ესგ-ს მიხედვით დასახულ მიზნებს. მას განმავითარებელი სახით მიეცა რეკომენდაცია, რომ მომავლისთვის მეტი დრო დაუთმოს რესურსის შექმნას და გაკვეთილზე მის გამოყენებას. სასურველი იქნება, თუკი თვითონ მოსწავლეები იქნებიან ჩართული რესურსის შექმნაში, რაც ხელს შეუწყობს მეტ მოტივაციას და ჩართულობას გაკვეთილზე.

ვირტუალური მუზეუმი ხელოვნების გაკვეთილზე

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას – აძლევს მას გარკვეულ ცოდნას არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ, ასევე, თვითრეალიზების საშუალებას, უღვივებს შემოქმედებითი აქტივობის სურვილს და ანალიზის უნარს. საბოლოოდ კი, აღუძრავს ხელოვნების ნაწარმოებთან „ურთიერთობის" სურვილს, უბიძგებს აზროვნებისკენ, შემოქმედებითი აქტივობებისკენ, გამოუმუშავებს ამისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ხელოვნების სფეროს შესახებ მიღებული თეორიული ცოდნა, მოსწავლეს ეხმარება ხელოვნების ნაწარმოების აღქმაში, აღძრული ემოციის და შთაბეჭდილების გაანალიზებაში, საკუთარი აზრის გამომუშავებასა და ჩამოყალიბებაში.

აუცილებელია, მასწავლებელმა მკაფიოდ განსაზღვროს კონკრეტული გაკვეთილის მიზანი, ძირითადი საკითხებიდან გამომდინარე, ასევე გაიაზროს შედეგი, რომლის მიღწევასაც აპირებს, ამის მიხედვით შეარჩიოს რესურსები, დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს საჭირო დრო.

მიმაჩნია, რომ ეფექტური რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანი წინაპირობაა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის სწავლებისას კონკრეტული მიზნების მისაღწევად. სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ხელოვნების ნაწარმოების აღწერა/ანალიზის უნარის გამომუშავება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

რესურსი შესაძლოა შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
- საჭიროება;
- ხელმისაწვდომობა;
- შენახვის უზრუნველყოფა;
- დახმარება.

რესურსის შექმნისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს:
- რა არის მის მიერ მოფიქრებულ ან მოძიებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე სწავლას;
- რა არის მის მიერ მოფიქრებულ ან მოძიებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ხელს ნასწავლის უფრო უკეთ გაგება-გააზრებას.

თანამედროვე პირობებში სასწავლო პროცესის წარმატებით ორგანიზებისთვის, მასწავლებელს სწავლების ახალი ფორმების, მეთოდებისა და მასალის მიწოდების ახალი საშუალებების ძიება უწევს. საგანმანათლებლო რესურსების მოძიებაც და დამზადებაც თავად შეუძლია, ვინაიდან კომპიუტერი და ინტერნეტი მჭიდროდ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, თანამედროვე ახალგაზრდობა კი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ტექნოლოგიების მიმართ, მასწავლებელმა ეს ინტერესი აუცილებლად უნდა გამოიყენოს სწავლების პროცესში.

მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე ვირტუალური ექსკურსიის შესახებ. ხელოვნების ისტორიის გარკვეული ეპოქის, თემის შესწავლა-დამუშავებისას შესაძლებელია მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებში ვირტუალური ექსკურსიის მოწყობა. ვირტუალური ექსკურსია არის ინტერნეტში განთავსებული სამგანზომილებიანი სცენა, რომელიც რომელიმე რეალურ ობიექტზე წარმოდგენის მიღების საშუალებას იძლევა.

ვირტუალური ექსკურსიები, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ ჩაანაცვლებს რეალურ ექსკურსიებს, მაგრამ საუკეთესო საშუალებაა საოცნებო ადგილების, მაგალითად, მსოფლიო ხელოვნების მუზეუმების მოსანახულებლად.

ამგვარი ექსკურსიების კიდევ ერთი უპირატესობა, ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეპოქის შესწავლისას, მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის მოძიების შესაძლებლობა და მოსწავლეთა მსოფლმხედველობის გაფართოებაა, რაც უფრო ცოცხალსა და საინტერესოს ხდის გაკვეთილებს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები ამუშაოს დამოუკიდებლადაც და ჯგუფურადაც, ასევე შესაძლებელია პროექტორის საშუალებით დაათვალიერებინოს მთელ კლასს.

ვირტუალური ექსკურსიის გამოყენება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე ხელს უწყობს:
- ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას;
- კვლევა-ძიების უნარის განვითარებას;
- აღწერა-ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას;
- თანამშრომლობის უნარის განვითარებას.

ამგვარად, ვირტუალური ექსკურსიების გამოყენება სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს, ხარისხიანსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. ბოლოს, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და მათ საჭიროებებზე მორგებული რესურსების გამოყენებით, შესაძლებელია, მოსწავლეებს მათთვის წარმოუდგენელი შედეგებისთვის მიაღწევინო. მიმაჩნია, რომ ვირტუალური მუზეუმი ნამდვილად არის ეფექტური საგანმანათლებლო რესურსი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისათვის, თუმცა არანაკლები შესაძლებლობები აქვს ვებგვერდს:

https://artsandculture.google.com/

(მსოფლიო ხელოვნების სხვადასხვა ეპოქის ნიმუშების ქრონოლოგიურად დალაგებისა და ხელოვნების ნიმუშის სხვა მიმდინარეობის სტილში გადაყვანის საშუალება, მსოფლიოს ცნობილი ქალაქების, არქიტექტურის ნიმუშების ვირტუალური დათვალიერების შესაძლებლობა, განთავსებულია ცნობილი ხელოვანების შემოქმედების ამსახველი მასალები და სხვ.).

რევაზ ცარციძე
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. https://artsandculture.google.com/
2. https://artsandculture.google.com/project/street-view

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

ВИН УКЕТ ИЦНОБС ИАКОБС?

ნანა ქაცანაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №219 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის ყველა ქართველს და, მით უფრო, დაწყებითი კლასების ყველა პედაგოგს აქვს პრეტენზია.

მეც ასე ვარ. იაკობ გოგებაშვილის სახელი მესმოდა ოჯახში ჯერ კიდევ სკოლამდელ ბავშვს. დედა პედაგოგი იყო, მოსწავლეები თითქმის ყოველ წელს დაჰყავდა სოფელ ვარიანში დიდი პედაგოგის სახლ-მუზეუმში მისი უკეთ გაცნობის მიზნით და მეც თან დამატარებდა. მაშინ, ცხადია, არ მესმოდა ძია იაკობის ღვაწლის მნიშვნელობა. როცა გავიზარდე და სკოლაში შევედი, ჩემი მასწავლებელი, აწ განსვენებული ქეთევან ოქროცვარიძე, თითქმის ყოველ გაკვეთილზე გვახსენებდა: *„დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილმა დაგვიწერაო“*. მე მებრალებოდა ამ დიდი შრომისათვის ძია იაკობი, რომელსაც სურათით ვიცნობდი, მეგონა, დღეღამ შრომობს, ხელში საწერკალამი უჭირავს და თითოეული მოსწავლისათვის თვითონ წერს-მეთქი თითოეულ წიგნს.

გავიზარდე, ფონეტიკის შესწავლა დავიწყე და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ მოახერხა ორი ხმოვნით, მათი ადგილის მონაცვლეობით წინადადების – „აი ია“ შედგენა.

შემდეგ და შემდეგ კი გავიგე, რომ *„იაკობი იყო კაცი, კაცი კი არა ღმერთი, რომელმაც 33 მზე აანთო ყრმათა თავზე“*.

უპირველეს ყოვლისა კი, ქართველი ხალხის ცნობიერებაში იაკობ გოგებაშვილის სახელი ასოცირდება არა მარტო ანბანის სახელმძღვანელოებთან, არამედ ქართველობასთან, ეროვნულობასთან. დიდი იაკობი მარტო ნორჩების მასწავლებელი როდია, იგი ბურჯია ეროვნებისა, მამულისა, ერის დიდი მოძღვარი და აღმზრდელია. დიდი მეცნიერი, ბატონი კორნელი კეკელიძე ბრძანებდა *„თუ დედა ადამიანის ფიზიკურად მშობელია, პედაგოგი მისი სულიერად მშობელია, რამეთუ ის გონებრივად, ზნეობრივად წვრთნის მას, აყალიბებს და აფორმებს პიროვნებას“*.

რადგან იაკობ გოგებაშვილი მასწავლებელთა მასწავლებელია, არ არსებობს მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის დამოძღვრილი რომ არ იყოს, არ არსებობს მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის იდეებზე აღზრდილი რომ არ იყოს. ერთ ბრძენ კაცს უთქვამს: *„პედაგოგობა პროფესია არ არის, პედაგოგობა ბედისწერააო“*. აი, რა ბედისწერა არგუნა დიდ პედაგოგს ყოვლისშემძლე ღმერთმა!? მასწავლებელთა მასწავლებლობა!!!

იაკობის სახელი მრავალ საუკუნეს გაუძლებს, იგი ყოველი საუკუნის თანამედროვე პიროვნებად დარჩება, რადგან მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების საკითხები იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში უძირო ზღვას ჰგავს, ამოუწურავი და დაუშრეტელია.

მთავარი და ძირითადი იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში არის მაღალი და კეთილშობილური იდეა სამშობლოს სიყვარულისა, მამულიშვილობისა, პატრიოტიზმისა. იაკობს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა ეჩვეოდეს მშობლიური მიწა-წყლის, ენის, კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის სიყვარულს. *„მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება,... მამულიშვილის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია“*.

დიდი პატრიოტის – იაკობ გოგებაშვილის აზრით, მამულიშვილი და პატრიოტი ჰქვია იმას, *„ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზად გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“*.

იაკობ გოგებაშვილის მრავალწახნაგოვან მოღვაწეობაში ყოველთვის პირველ პლანზე ერი და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა იდგა. იგი თავისი დაუღალავი შრომით ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ქართველთა შორის მამულიშვილური გრძნობის გაძლიერების, აღორძინებისა და განვითარებისათვის.

დიდ მამულიშვილს მიაჩნია, რომ თუ ერი უღალატებს თავის ეროვნებას, ღვთისაგან მინიჭებულ თვისებებს, აუცილებლად გაღატაკდება.

იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ ჰუმანიზმი ადამიანის პირადი კულტურის და ღირსების საზომია. ჰუმანურ თვისებებს მოკლებული ადამიანი არ არის ნამდვილი ადამიანი, ნამდვილი ადამიანის აღზრდის პრინციპია მისი ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარება. დიდი პედაგოგის აზრით : *„პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერცა ერში, გარეშე ნამდვილი ადამიანური გრძნობისა“*. იაკობს მიაჩნდა, რომ სკოლამ უნდა აღიზარდოს დედასამშობლოს ჰუმანისტი, სულგრძელი, კაცთმოყვარე ადამიანები. კაცთმოყვარეობის გრძნობის აღზრდა მიაჩნდა დიდ იაკობს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის და ადამიანში ადამიანურობის აღზრდის მოწინავე პრინციპად. დიდი აღმზრდელი ამბობდა, რომ აღმზრდელი უპირველესად თვითონ უნდა იყოს ჰუმანისტი, რომელიც მოზარდებში აღმოაჩენს მათ საუკეთესო მხარეს, კაცთმოყვარეობას, ჰუმანურობას, თავმოყვარეობას, პატივისცემას და ხელს შეუწყობს ამ საუკეთესო თვისებების განვითარებას. აღმზრდელისაგან მოითხოვდა აღსაზრდელისადმი დიდ სიყვარულს, მისი პიროვნების პატივისცემას. *„ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდგან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც ასულდგმულებს გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ“* – გვმოძღვრავდა იაკობი.

მშობლიური მიწა-წყალი, დიდი პატრიოტის აზრით, სულიერი და ცოცხალი არსებაა, მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ის აცოცხლებს, ასულდგმულებს ხალხს.

„ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა“ – ამბობს დიდი იაკობი და ამ ბურჯის აღორძინებას, დაცვას და მის სიწმინდეს შეალია მან თავისი სიცოცხლე. იგი იყო მკაცრი და უდიდესი დამცველი დედაენისა, მას მიაჩნდა, რომ ენა არის *„ძირითადი ეროვნული ძალა“*, *„მთავარი ბურჯი ეროვნების“*, *„ენა აზრისა და გონებისა“*, დედაენა არის აღზრდის, სწავლისა და განათლების ძირითადი და მთავარი საშუალება. იაკობ გოგებაშვილი ამაყობს, რომ *„ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულობის ენათა დასს“*. იცავდა, რა ქართულ ენას, გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ ქართველ ბავშვს ქართულ ენაზე უნდა ესწავლა. ამავე დროს რუსული ენის შესწავლას და, საერთოდ უცხო ენების ცოდნასაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა. სკოლა ბურჯიაო ერის წარმატებისა, ამიტომაც მის მოვლა-პატრონობას და ეროვნულ ნიადაგზე დამაგრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოითხოვდა,



რომ ეროვნული სკოლები ყოფილიყო *„კეთილად მოწყობილი“* და რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

ერის აღმავლობის, ადამიანთა ჰარმონიული აღზრდისა და განვითარების მთავარ საშუალებად დიდ პედაგოგს ეკლესია მიაჩნია. ეკლესიამ ჩვენს ერში დანერგა სარწმუნოებრივი და მამულიშვილური გრძნობა, ეკლესიამ გაამრავალფეროვნა ჩვენი ლიტერატურა, ეკლესიამ საქართველო დაამშვენა ტაძრებითა და მონასტრებით, შეადუღაბა ქართველებში მაცხოვრისა და მამულის მხურვალე სიყვარული. *„ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა“*. დღეს შესაძლებელი რომ იყოს იაკობის გაცოცხლება, გაიხარებდა მოხუცი, რომ კვლავ *„ჩვენთან არს ღმერთი“*, ქართველს დაუბრუნდა რწმენა დიდის ღმერთისა და, როგორც მოსალოდნელია, ერი ისევ ერს დაემსგავსება.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა „საღმრთო სჯულის“ ქართულ ენაზე შესწავლას. მოითხოვდა სასულიერო სასწავლებლების დაარსებას.

დიდი მოძღვარი და განმანათლებელი მოითხოვდა სკოლებში მაღალ დონეზე ყოფილიყო გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო საგნების, ქვეყნის ბუნების შესწავლა. იგი ასაბუთებდა აღნიშნული საგნების შესწავლის აუცილებლობას და აღნიშნავდა, რომ მოზარდს უფრო მეტად შეუყვარდება მშობლიური კუთხე, თუკი მის შესახებ ყველაფერი ეცოდინებაო.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოზარდის ესთეტიკურ აღზრდას. მოზარდს უღვივდება მშვენიერების წვდომის გრძნობა, ფაქიზი და ლამაზი სული უყალიბდება ესთეტიკის გაკვეთილებზე.

იაკობ გოგებაშვილს თავის „დედა ენაში“, „ბუნების კარში“ და „რუსკოე სლოვოში“ შეჰქონდა ისეთი მხატვრული თხზულებანი, რომლებიც გამოირჩეოდნენ და აკმაყოფილებდნენ მაღალიდეურ, ესთეტიკურ და პედაგოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც, როგორც შინაარსით, ისე ენით აძლევენ მასწავლებლის ხელში მძლავრ ღონისძიებას, რომ მან *„ერთი მხრით, ყმაწვილების გონებაში დანერგოს სამოქალაქო გახსნის თესლი, შეიტანოს მათ აღზრდაში ესთეტიკური და ზნეობრივი ელემენტი, შეიყვანოს მათი გონება მაღალი ჰაზრების სფეროში და მათ გულს გააცნოს ღრმა კაცური გრძნობანი და კეთილშობილი ლტოლვილებანი, – მეორე მხრით, გადასცეს მათ ცოცხალი ცოდნა ქართული ენის ხასიათისა, თვისებისა, მისი სულისა, სიმდიდრისა“*.

დიდ სულიერ სიმდიდრეს ხედავდა იაკობ გოგებაშვილი ქართულ ფოლკლორში. თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობდა ზეპირსიტყვიერებას, ზოგი უცვლელად შეჰქონდა წიგნებსა და ჟურნალებში, ზოგსაც მისებურად, მაღალ პედაგოგიურ დონეზე გადააკეთებდა ხოლმე.

დიდი მოძღვარი საბავშვო მოთხრობებში პატარებს ისე მიმზიდველად მარად დასამახსოვრებლად უამბობს საქართველოს ისტორიის, ბუნებისმცოდნეობის შესახებ, რომ აღსაზრდელებს აწვდის სულიერ საზრდოს, ძვალს უმაგრებს და გულს უკაჟებს, აყვარებს სამშობლოს და აამაყებს, რომ ქართველები არიან.

უსაზღვროა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება, უშრეტი და უკიდეგანოა. ერთს დავძენ მხოლოდ, არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი კუთხე-კუნჭული, ავი თუ კარგი, მოზარდის ჰარმონიული აღზრდის არც ერთი საკითხი, დიდ მასწავლებელს თავისი ჭკვიანური აზრი რომ არ ეთქვას. ამიტომაც დატოვა დიდმა პედაგოგმა ჩირაღდანივით ანთებული თავისი სახელი – დიდი იაკობი.

ვინმემ რომ გვკითხოს, რა გააკეთეთო ქართველებმა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიო, ჩვენ ვუპასუხებდით – გვყავდა უამრავი გამოჩენილი ადამიანი, პატრიოტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრენი, ერის ჭირისუფალნი და გვყავდა დიდი პედაგოგი, ერის ბურჯი და ჩირაღდანი იაკობი და დაგვიწერა „დედა ენა“.

განა ეს ცოტაა?

ჩემი სათქმელი განგებ არ დავტვირთე იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიული ცნობებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართველებმა ვიცით ღირსეული წინაპრების ღირსეულად დაფასება. იაკობ გოგებაშვილის უკვდავებას მიეძღვნა მისი წიგნის – „დედაენის“ ძეგლი თბილისში. ვგონებ ასეთი თემებიც დიდი იაკობის უკვდავებას ეძღვნება.



სასკოლო აქტივობა

ჩვენ და ევროპული ღირებულებები

დღეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში აქტუალური მსჯელობის საკითხად იქცა ისეთი თემები, როგორებიცაა: ევროინტეგრაცია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ევროპული განვითარების პრიორიტეტები, ევროპული ღირებულებების პოპულარიზაცია. ისიც ცნობილია, რომ ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით რეგიონები, ნაკლებადაა ინფორმირებული, ამიტომაც საჭიროა, ამ მიმართულებით, ინფორმაციული მუშაობის უფრო ფართოდ და მიზნობრივად გაშლა. ამის ერთ-ერთი მაგალითია „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი – სემინარი „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“ (გასული წლების სემინარის მონაწილე ვარ), რომლის მთავარი სამიზნე ჯგუფი მასწავლებლები იყვნენ. ამ სემინარმა ჩემი ცნობიერება ევროპული ღირებულებების მიმართ მკვეთრად შეცვალა და დამანახა ის აუცილებლობა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავლის განვითარებისა და წარმატების ერთადერთი და უალტერნატივო გზა ევროკავშირის ერთიან ოჯახში ღირსეული ადგილის პოვნაა. ამ საქმეში მასწავლებელს, როგორც მომავალი თაობის აღმზრდელსა და საზოგადოების ერთ-ერთ ავტორიტეტულ წარმომადგენელს, დიდი მისია აკისრია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ მიმართულებით პროექტის დაგეგმვა და მისი განხორციელება. მიმაჩნია, რომ მასწავლებელს შესწევს ძალა, ინფორმაცია სწორად მიიტანოს არა მარტო მოსწავლეებამდე, არამედ მთლიანად საზოგადოებამდე – რას ნიშნავს ევროპული ღირებულებებით ცხოვრება? რატომ არის ევროკავშირი კარგი? რით არის ევროპული განათლება მიმზიდველი? რა გახდის ჩვენს ქვეყანას, მომავალში, წარმატებულს?

პროექტის ძირითადი მიზანია საზოგადოების ინფორმაციული ცნობადობის ამაღლება, ევროინტეგრაციის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება, ევროპული ღირებულებების პოპულარიზაცია და დამკვიდრება ცხოვრებაში, სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეთა გაერთიანება ერთი მთავარი მიზნისკენ: „ვიცნობდეთ ევროპულ ღირებულებებს“. პროექტი, აგრეთვე, ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო აქტივობებში, ხელს უწყობს მოსწავლეებში აკადემიური, სოციალური და ორგანიზაციული უნარების განვითარებას, მოსწავლეებს თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალებას აძლევს და ამაღლებს სამოქალაქო თვითშეგნებას. პროექტი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ არაფორმალური განათლების მიზნებს ემსახურება და მოიცავს ისეთ მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს, როგორებიცაა: შემოქმედებითი კონკურსები აქტუალურ თემებზე, ვიზიტები, საინტერესო და წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრები, ვიდეორგოლების დამზადება, დებატები, გარემოზე ზრუნვა – დასუფთავება, კვირეულებში მონაწილეობა და სხვ.

ჩემი პროექტის მთავარი მიზანი იყო, მომავალ თაობაში, ახალგაზრდებში ევროპული ღირებულებების მიმართ ინტერესისა და ცნობადობის ამაღლება. ამიტომაც მნიშვნელოვანი როლი დავაკისრე ისეთ აქტივობებს, როგორიცაა წარმატებულ და ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები, რომლებსაც დიდი ცოდნა აქვთ ამ მიმართულებით და საზოგადოებაშიც შესაშური ავტორიტეტით გამოირჩევიან. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, ორი წელია, ვთანამშრომლობთ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ აჭარის ბიუროსთან და მის ხელმძღვანელთან, რომლის მიწვევითაც, გასული წლის მაისში, დავესწარით მინისტრ დავით ბაქრაძესთან შეხვედრას ბათუმის უნივერსიტეტში. შეხვედრის მიზანი იყო ევროკავშირისა და ნატოს შესახებ ცნობადობის ამაღლება. ამ შეხვედრამ, განსაკუთრებით კი შეხვედრის შემდეგ მინისტრთან გამართულმა არაფორმალურმა დიალოგმა, მინისტრის უშუალობამ, დიდი შთაბეჭდილება დატოვა მოსწავლეებზე როგორც ინფორმაციულად, ისე პიროვნულად.

მონაწილეობა მივიღეთ, აგრეთვე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ ჩეხურ პროექტში, რომელსაც ატარებდნენ ჩეხეთის ელჩი და ევროკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ პროექტში მონაწილეობამ დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა მოსწავლეებს, განსაკუთრებით, ელჩის ლექციამ და მასთან კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩართვამ (კითხვა-პასუხის რეჟიმის მიზანი ქვეყნის ევროპული გზის განვითარების უპირატესობის ჩვენება იყო).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელთან, გაეროში საქართველოს ყოფილ ელჩთან, ლევან დოლიძესთან, რომელიც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი პროექტის ავტორის, ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულის, ირაკლი ვარშანიძის ხელშეწყობით მოვიწვიეთ სკოლაში. ეს იყო უშუალო, საქმიანი, ცოდნის მომცემი ლექცია და დიალოგი. მოსწავლეები მოიხიბლნენ ლევან დოლიძის პროფესიონალიზმითა და ერუდიციით.

შეხვედრების ციკლის გაგრძელება იყო, პროექტის ფარგლებში, სოფლის კლუბში გამართული შეხვედრა სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც დღეს წარმატებული ადამიანები არიან. შეხვედრის თემა იყო: „ქვეყნის განვითარების საფუძველი – ევროპული განათლება“. მონაწილეობდნენ სოფელში მცხოვრები წარმატებული ექიმი, პოლიციელი, ბიზნესმენი, დეპუტატი, გამგებელი, რომლებმაც განათლების აუცილებლობაზე ისაუბრეს და მოსწავლეების შეკითხვებსაც უპასუხეს. მოსწავლეებისათვის მეტად საინტერესო და საჭირო აღმოჩნდა მათი კარიერული წარმატების გამოცდილება. დაიგეგმა ერთობლივი პროექტები.

მონაწილეობა მივიღეთ ნატოსა და ევროკავშირის კვირეულებში, რომლის ფარგლებში გაიმართა კონკურსი – ევროპის დღეები ქობულეთში, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ღონისძიება „გუშინ, დღეს, ხვალ“. მონაწილეობდა ქობულეთის საჯარო სკოლების 17 გუნდი, ციხისძირიდან – ორი გუნდი. საინტერესო და მიზანმიმართული კონკურსი ჩატარდა, მოსწავლეებმა ღრმა და შინაარსიანი პასუხები გასცეს შეკითხვებს. კვირეულთან დაკავშირებით, ჩვენს სოფელში, პეტრას ისტორიულ ციხესთან სიმბოლურად მოვაწყეთ პერფორმანსი. დევიზებით, პლაკატებითა და საჯარო გამოსვლებით დავაფიქსირეთ ჩვენი დამოკიდებულება ქვეყნის ევროატლანტიკური განვითარების უპირატესობასთან დაკავშირებით. შემდეგ კი, სოფლის ხელმძღვანელობასთან, ბიუროს წარმომადგენლობასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად, დავასუფთავეთ პეტრას ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია, რითაც პატივი მივაგეთ ჩვენს ისტორიულ წარსულს. ამ აქტივობამ აჭარის ტელევიზიის ყურადღებაც მიიპყრო და სიუჟეტიც დაუთმეს ჩვენს ღონისძიებას.

ევროპული ღირებულებების ცოდნა მხოლოდ აბსტრაქტული კი არ უნდა იყოს, მას პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა და უნარ-ჩვევებით განმტკიცება სჭირდება. ამიტომაც, ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით, ჩვენი პროექტის ერთ-ერთ აქტივობად დავისახე, ვიდეორგოლების გადაღება და ინტერნეტსივრცეში განთავსება. პროექტში მონაწილე მოსწავლეებისაგან შევქმენი შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებმაც ვიდეორგოლები გადაიღეს. თემატიკა მრავალფეროვანი იყო: გარემოს მოვლა-პატრონობა, თანასწორობა, ტოლერანტობა, ბულინგი, სხვადასხვა რელიგიათა თანაცხოვრება, არასრულწლოვანთა დანაშაული-პრევენცია, ნაადრევი ქორწინება, ჯანსაღი კვება, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, მოქალაქე და არჩევნები. ვიდეორგოლებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც სკოლაში, სოფელში, ასევე ინტერნეტსივრცეშიც.

მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ვიდეორგოლებს, თემატიკის შესაბამისად, ვაგზავნიდი საქართველოს განათლების სამინისტროს, საპრეზიდენტო ინიციატივისა და დემოკრატიის ლაბორატორიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. არაერთმა ვიდეორგოლმა მოწონება დაიმსახურა, ფინალური და საპრიზო ადგილებიც მოვიპოვეთ. ეს ძალიან დიდი მოტივაცია იყო მოსწავლეებისთვის, თუნდაც იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად სწორად აქვთ გაცნობირებული ევროპული ღირებულებები, შემოქმედებითი ხედვა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა.

ჩემი პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსწავლეების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაა, სწორედ ამ მიზნით ჩავერთე საპრეზიდენტო ინიციატივების კამპანიაში „შენი ხმა ჩვენი მომავალია“, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეებში საარჩევნო პროცესების მიმართ ცნობადობისა და პასუხიმგებლობის ამაღლებას. ამ კამპანიაში პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ორი გუნდი მონაწილეობდა. პირველი ეტაპის გადალახვის შემდეგ, ისინი აქტიურად ჩაერთნენ მეორე ეტაპშიც, რომელიც რეგიონში ფართომასშტაბიანი წინასაარჩევნო ერთკვირიანი კამპანიის ჩატარებას ითვალისწინებდა. ჩემი გუნდების სამოქმედო არეალმა მოიცვა ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების სოფლები და დაბები, აგრეთვე ქალაქები: ბათუმი და ქობულეთი. მოსწავლეები ყოველდღე დადიოდნენ სოფლის გზებზე, ეზოებში, თავშეყრის ადგილებში, ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ, მაღაზიებში, ბაზრებში, სავაჭრო ცენტრებში, ავტოსადგომებზე, გაჩერებებზე, ქუჩებსა და დაწესებულებებში და სთხოვდნენ ადამიანებს, მისულიყვნენ არჩევნებზე. სპეციალური ლოგოიანი ჩაცმულობით გამორჩეულები შემხვედრებს ბუკლეტებს ურიგებდნენ, ხალხის ყურადღებას შემოქმედებითა და ფოლკლორული ნიჭით იქცევდნენ, აკრავდნენ მოწოდებებს, ასფალტზე არჩევნებზე მისვლის მოწოდებებს წერდნენ, აწყობდნენ ფლეშმობებს, რომელთა მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების გადატანა მათი მიზნისკენ: მოეხადათ მოქალაქეობრივი ვალი. ამ აქტივობამ მოსწავლეებს ასწავლა უფროსი ასაკის მოქალაქეებთან, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, მოქალაქის, პიროვნების პასუხიმგებლობა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი საქმის მიმართ, ფლეშმობებისა და აქციების კონკრეტული, სამოქალაქო მიზნებისათვის აქტიური გამოყენება და მათი ცნობადობის ამაღლება არჩევნებისა და საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობის მიმართ.

პროექტის ფარგლებში, აქტიური მოსწავლეები ჩაერთნენ ახალ გამოწვევაში „აჭარა – მულტიკულტურული ისტორია – ერთი ამბავი“. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების აუცილებლობაზე მოსწავლეებს ინფორმაცია უცხოელმა ექსპერტებმა მიაწოდეს. პროექტის მიზანია რეგიონის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. ინტერაქტიული გაკვეთილების სერია თებერვალში დაიწყო და აპრილის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მატერიალური და არამატერიალური ძეგლების მოძიებასა და პოპულარიზებას მოსწავლეთა შორის, სხვადასხვა უნარ-ჩვევების ხელშეწყობას და წახალისებას. პროექტის მხარდამჭერია გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია „MITOST“, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ქობულეთის რესურსცენტრი.

* * *

როგორც ზემოთ აღწერილი პროცესებიდან ჩანს, პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა საკმაოდ ბევრია – მოსწავლეები, მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები და მათი ოჯახები, სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები, თემი და მისი წარმომადგენლები. პროექტზე მუშაობას ბევრი სიძნელეებიც ახლდა, მაგრამ ამ სიძნელეებმა გვიჩვენა ალტერნატიული გზები და შეგვძინა საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევა, რაც სამომავლოდ დასახული მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. ჩვენ არ ვაპირებთ დანებებას, მომავალში ვგეგმავთ ბენეფიციართა რიცხვის ბევრად გაზრდას და პროექტის მიზნების შესრულებას.

რესურსი ის აუცილებელი ფაქტორია, რომელიც ჰაერივით სჭირდება ფართომასშტაბიან და გრძელვადიან პროექტს. რესურსზეა დამოკიდებული ნებისმიერი პროექტის წარმატება-წარუმატებლობა. აქტიურ მხარდაჭერას ვგრძნობდი და დღესაც ვგრძნობ სკოლის დირექტორის მხრიდან, რომელმაც სკოლის ბაზაზე არსებული რესურსებიდან გამოგვიყო სასწავლო ავეჯით მოწესრიგებული ოთახი, ინტერნეტის ქსელში ჩართული ორი კომპიუტერი, ქსეროქსი, პროექტორი და მუდმივად გვეხმარება. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი სკოლის პედაგოგთა ინტელექტუალური რესურსია, რომელსაც ძალიან ხშირად მივმართავ, მაგალითად: უცხო ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, დაწყებითი კლასების მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები. ჩვენი რესურსია ის საინტერესო სახელმძღვანელოები და სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტებიც, რომლებიც გადმოგვცეს გასულ წელს სემინარზე „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“, ასევე, „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ბათუმის ბიუროში ვიზიტის დროს.

დალი თურმანიძე

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

მშობელთა კრება

დასწავლის სპეციფიკური დარღვევა

რა არის დასწავლის სპეციფიკური დარღვევა?

დასწავლის სპეციფიკური დარღვევა ვლინდება კითხვის, წერის და მათემატიკური უნარების განვითარების პრობლემებში. მისი აღმოცენების საფუძველი ნეირობიოლოგიურია. დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მქონე ადამიანისთვის ტვინი განსხვავებულად ფუნქციონირებს, რაც აისახება ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და გამოყენების პროცესის თავისებურებაში. დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანს აქვს **საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტი** და ამის ფონზე აღენიშნება სპეციფიკური ტიპის დეფიციტი ერთ ან რამდენიმე ფსიქოლოგიურ პროცესში, რომელიც დაკავშირებულია სწავლასთან. დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მქონე ბავშვები ხარჯავენ უამრავ ენერგიას, მუშაობენ ბევრს, თუმცა ეს მაინც არ აუმჯობესებს მათი დასწავლის ხარისხს.

რა და რა ტიპის დასწავლის სპეციფიკური დარღვევა არსებობს?

- **დისლექსია** – ეს არის დასწავლის სპეციფიკური დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია კითხვის ათვისების სირთულესთან (ასო-ბგერების, სიტყვების ცნობის და წერილობითი მასალის გაგების სირთულე);
- **დისგრაფია** – დასწავლის სპეციფიკური დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია წერის ათვისების სირთულესთან (წინადადებების შედგენის, წერისას გრამატიკული, პუნქტუაციური წესების დაცვის, საკუთარი აზრების წერილობითი სახით გადმოცემის სირთულე);
- **დისკალკულია** – დასწავლის სპეციფიკური დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია მათემატიკის ათვისების სირთულესთან (მათემატიკური მსჯელობა, შეკრება, გამოკლება, გაყოფის ცნებების გაგების სირთულე). ბაზისური მათემატიკური ცნებების გაგების სირთულის შემთხვევაში, ბავშვს უჭირს ციფრების, მათემატიკური ნიშნების დამახსოვრება, ვლინდება თვლის, ანგარიშის პრობლემა.

როგორ მივხვდე, რომ ჩემს შვილს დასწავლის სპეციფიკური დარღვევა აქვს?

დასწავლის სპეციფიკური დარღვევის გამოვლენის თავისებურებები ცვალებადობს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მახასიათებლები: **სკოლამდელი ასაკი**

- უჭირს სიტყვების სწორად წარმოთქმა;
- უჭირს საუბრის პროცესში საჭირო სიტყვის მოძიება;
- გართულებულია ფერების, ფორმების, ციფრების, ანბანის დამახსოვრება;
- უჭირს მითითებების გაგება და შესრულება;
- ვლინდება მაკრატლის, ფანქრის გამოყენების სირთულე, მარტივი გეომეტრიული ფიგურების გადახატვის პრობლემა;
- უჭირს ღილების, თასმების, ელვის შეკვრა.

დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მახასიათებლები: **5-9 წელი**

- უჭირს ასოსა და ბგერას შორის კავშირის გაგება და დამახსოვრება;
- უჭირს ასოების სწრაფად დასახელება;
- უჭირს ბგერების სიტყვებად გაერთიანება;
- უჭირს სიტყვების ბგერებად დაშლა;
- უჭირს ერთ ასო-ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება;
- სჭირდება ბევრი დრო ახალი რაიმეს ასათვისებლად;
- კითხვის დროს ტოვებს, გადაანაცვლებს, ჩაანაცვლებს ასოებს სიტყვაში;
- უჭირს ძირითადი მათემატიკური ფაქტების გაგება და დამახსოვრება;
- უჭირს საათის ცნობა, თანმიმდევრობის განსაზღვრა;
- უჭირს დროის დაგეგმვა;
- უჭირს სივრცეში ორიენტაცია;
- აქვს ცუდი ხელწერა;
- ვლინდება სხეულის მართვის სირთულე, მოუქნელობა;
- თანატოლებთან შედარებით წერს ნელა.

დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მახასიათებლები: **10-13 წელი**

- უჭირს წაკითხულის გაგება, შინაარსის გამოტანა;
- უჭირს მათემატიკული მსჯელობა;
- უჭირს ღია კითხვებზე პასუხის გაცემა;
- არ მოსწონს წერა, კითხვა, მათემატიკა, ცდილობს თავიდან აირიდოს მეცადინეობის პროცესის;
- უჭირს ორგანიზებულად მოქმედება (საკუთარი ნივთების მოწესრიგება, ოთახის დალაგება);
- უჭირს საკლასო დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი აზრების გადმოცემა;
- უჭირს საკუთარი აზრების ფურცელზე გადმოტანა, მაშინ როდესაც ზეპირსიტყვიერად ამას ახერხებს;
- წერისას უჭირს ფურცლის სივრცის გათვალისწინება;
- არ იყენებს პუნქტუაციის ნიშნებს.

რა უნდა გავაკეთო, თუ ვფიქრობ, რომ ჩემს შვილს დასწავლის სპეციფიკური დარღვევა აქვს?

- შეამოწმეთ სმენა და მხედველობა – სმენასთან ან მხედველობასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება გამოიწვიონ სწავლის პრობლემა.
- ესაუბრეთ თქვენს ვარაუდზე სკოლის პედაგოგს და მიმართეთ სპეციალისტს.

რომელ სპეციალისტს მივმართო?

- კლინიკური ნეიროფსიქოლოგი, კლინიკური ფსიქოლოგი, ბავშვთა ფსიქიატრი – სწორედ ეს სპეციალისტები დაადგენენ არის თუ არა რომელიმე ტიპის დასწავლის სპეციფიკური დარღვევა, განსაზღვრავენ ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს, დაგეგმავენ ჩარევის სტრატეგიებს;
- ოკუპაციური თერაპევტი მონაწილეობას იღებს მოტორული დისგრაფიის, კოორდინაციის ან სენსორული ინტეგრაციის პროცესის დარღვევის დიაგნოსტირებაში;
- ენისა და მეტყველების თერაპევტი განსაზღვრავს ენასთან და მეტყველებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

შეიძლება თუ არა დასწავლის სპეციფიკური დარღვევის განკურნება?

არ არსებობს რაიმე მაგიური გადაწყვეტის გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სწრაფი განკურნება. თუმცა, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ადრეული დიაგნოსტირების და სწორი ჩარევის შემთხვევაში შესაძლებელია დასწავლის სირთულეები მნიშვნელოვნად შემცირდეს. სწორი და ადეკვატური მხარდაჭერის შემთხვევაში, დასწავლის სპეციფიკური დარღვევის მქონე ადამიანები აღწევენ დიდ წარმატებას მათ მიერ არჩეულ სფეროში. ყველანი ვიცნობთ გამორჩეულ ადამიანებს, რომელთათვისაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები არ აღმოჩნდა ხელის შემშელელი ფაქტორი იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ ძალიან წარმატებულნი. ამისი ნათელი მაგალითებია: ალბერტ აინშტაინი, პიერ კიური, ოგიუსტ როდენი, ლეონარდო და ვინჩი, პაბლო პიკასო, სტივენ სპილბერგი, უოლტ დისნეი, ბილი ბობ ტორნტონი, დენი გლოვერი, ჯიმ ქერი, კეანუ რივზი, ორლანდო ბლუმი, ვუპი გოლდბერგი, ჯონ ლენონი, შერი, აგათა კრისტი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ჰენრი ფორდი, თომას ედისონი და ა.შ.

ირინე დოღაძე
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი,
„თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი"

ინფორმაცია

* * *

ნიკო ფიროსმანის გამოფენა ალბერტინას მუზეუმში 400 000-ზე მეტმა დამთვალიერებელმა იხილა. გამოფენის დასასრულს, ალბერტინას მუზეუმმა ფიროსმანის გამოფენას კიდევ ერთი ვიდეორგოლი მიუძღვნა. *„ჩემთვის, ნიკო ფიროსმანის გამოფენა ალბერტინას მუზეუმის ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენათა რიცხვშია"* – აცხადებს ვენის ალბერტინას მუზეუმის დირექტორი კლაუს ალბრეხტ შრედერი.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გამოფენას, 2 მარტიდან, საფრანგეთში, ქალაქ არლში მდებარე ვინსენტ ვან გოგის მუზეუმი უმასპინძლებს. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მხატვრისა და ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები ერთ სივრცეში, პროექტის – Vincent van Gogh: Speed & Aplomb-ის სახელწოდებით გამოიფინება.

დამთვალიერებელი იხილავს ნიკო ფიროსმანაშვილის 29 ნამუშევარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან და ვინსენტ ვან გოგის მიერ 1884-1889 წლებში შესრულებულ ნამუშევრებს. ასევე, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ილია ზდანევიჩის ხელნაკეთი წიგნი სახელწოდებით „ფიროსმანაშვილი 1914". წიგნში შესულია პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული გრავიურა „ფიროსმანის პორტრეტი".

გამოფენის ფარგლებში, თანამედროვე ხელოვნების სივრცე, მხატვრის შემოქმედებით შთაგონებულ, ჩვენი დროის საუკეთესო თანამედროვე არტისტთა ნამუშევრებს დაეთმობა. მათ შორის იქნება ცნობილი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდოს მიერ სპეციალურად შექმნილი მაგიდა სახელწოდებით „Table Of Pirosmani", რომელიც, იაპონელმა არტისტმა ფიროსმანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

გამოფენა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, Infinitart Foundation Vienna და არლში

ვინსენტ ვან გოგის მუზეუმის ინიციატივით ხორციელდება.

* * *

ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური ჩართულობით, ბრიტანეთის საბჭო ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, რომლებიც პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენერ-მენტორების გუნდის ჩამოყალიბებას ემსახურება და პროგრამის „ინგლისური დასაქმებისთვის პროფესიულ განათლებაში" ფარგლებში ხორციელდება.

პროექტი მიზნად ისახავს პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების რეფორმირებისა და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბების გზით.

* * *

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა და მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, როს უილსონთან ერთად განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის მიმართულებებზე და სამომავლო თანამშრომლობაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე განიხილეს რეფორმის ყველა მიმართულება, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილი და მისი ცალკეული კომპონენტები, როგორებიცაა ახალი სკოლის მოდელი, კურიკულუმი, მასწავლებლების პროფესიული ზრდა, ინფრასტრუქტურა და სხვ.

აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებლის, როს უილსონის თქმით, ეს იყო ძალიან კარგი შესაძლებლობა რეფორმის მიმართულებების განხილვისა და ერთობლივი გეგმების შემუშავებისთვის. მან გამოთქვა მზაობა, აშშ-ს საელჩო აქტიურად ჩაერთოს იმ ამბიციური გეგმების განხორციელებაში, რაც სამინისტროს აქვს. ამ მიმართულებით აშშ-ს დახმარება, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ფარგლებში, განუზომლად დიდია. *„საქართველოს აქვს ამბიციური გეგმები განათლების სექტორში, ეს არის ფუნდამენტური ქვეყნის მომავლისთვის და ჩვენ მზად ვართ, ამ პროცესის ნაწილი ვიყოთ".*

* * *

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა, საქართველოში გერმანიის ელჩთან, ჰუბერტ ქნირშთან და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლებთან, სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მთავარი თემა პროფესიული განათლების კუთხით ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება იყო.

განათლების რეფორმების ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი პროფესიული განათლებაა. ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის მთავარი პარტნიორი გერმანიაა, სადაც დუალური სწავლების მსოფლიოში საუკეთესო გამოცდილება აქვთ. გერმანიის ელჩის განცხადებით, პროფესიული განათლების მიმართულებით საქართველოსთან თანამშრომლობა გაღრმავდება.

* * *

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, ძი იანჩიმ ხელი მოაწერეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის მიზანს საქართველოში ჩინური ენის პოპულარიზაცია და სწავლების ხელშეწყობა წარმოადგენს.

მემორანდუმს საფუძვლად უდევს საქართველოსა და ჩინეთს შორის განათლების სფეროში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც განათლების ყველა მიმართულებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონტაქტების დამყარებას, გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას ითვალისწინებს.

მარნეული გააქტიურდა

ბოლო დღეებში მარნეულის სასპორტო სკოლა ქართული სპორტის ეპიცენტრად იქცა: ჯერ იყო საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, სადაც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებმა და ჭაბუკებმაც იასპარეზეს; ამას მოჰყვა საქართველოს ჩემპიონატები ჭაბუკებში – ჯერ ძიუდოში, შემდეგ კი კრივში, რომელიც ბოლო უქმეებზე ჩატარდა. ასეთი აქტიურობა დადებითი მოვლენაა რეგიონის ცხოვრებაში, რაც სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს. მარნეულს ძიუდოში გვარიანი ტრადიციები აქვს და ამ მხრივ არც კრივია ბევრად ნაკლები, ახლა კი მშვილდოსნობის განვითარებაც დაიწყეს და საქართველოს ჩემპიონატშიც მიიღეს მონაწილეობა.

ახალგაზრდა მშვილდოსანთა იქაური გამოსვლის შესახებ, ერთ-ერთ წინა წერილში ვწერდით და აქ აღარ შევჩერდებით. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ისინი უკვე სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გადიან ბათუმში, 26 თებერვალს კი თურქულ სამსუნში გაემგზავრებიან ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე.

ჭაბუკ ძიუდოისტთა და მოკრივეთა ქვეყნის ჩემპიონატებზე გამოვლინდნენ სპორტსმენთა ის ძირითადი ბირთვები, რომლებიც გააგრძელებენ მზადებას სეზონის უმთავრესი შეჯიბრებების – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, თუმცა იქ გამოსვლამდე მათ სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო ტურნირებშიც მოუწევთ გამოსვლა, სადაც ისევ უნდა დაამტკიცონ, რამდენად იმსახურებენ ზემოაღნიშნულ მთავარ შეჯიბრებებში მონაწილეობას.

ჭაბუკთა ასაკი იმდენად ცვლადი ასაკობრივი კატეგორიაა, საკადრო გადაადგილებები ლამის მუდმივად ხდება. მოზრდილები მუდმივად გადადიან ახალგაზრდებში, მათ ნაცვლად კი, პატარებიდან ახალ-ახალი შევსება მოდის. ამიტომ მწვრთნელებს, თითქმის ყოველწლიურად, ახალი შემადგენლობების დაყენება უწევთ, რაც ვითარებას ერთიორად ართულებს. ამიტომ მწვრთნელებიც მუდმივ ძიებაში არიან და, როგორც წესი, მსგავს შეჯიბრებებში გამოსვლას ყველა, მეტ-ნაკლებად რეალურ, კანდიდატს ავალდებულებენ.

წლეულსაც ასე იყო. მაგალითად, ძიუდოისტთა ჩემპიონატში ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ჭაბუკი სპორტსმენი გამოვიდა და ძალიან საინტერესო ორთაბრძოლებიც გაჩაღდა. საბოლოოდ, ორდღიანი პაექრობების შემდეგ, გამოვლინდნენ ჩემპიონები: **აკაკი ჩაფურიშვილი** (50), **ვალერი მღებრიშვილი** (55), **კოტე კაპანაძე** (60), **გიორგი ტერაშვილი** (66) **გიორგი იანტბელიძე** (73), **ზურაბ ჩაგელიშვილი** (81), **გიზო გუგუნაშვილი** (90) და **ირაკლი დემეტრაშვილი** (+90).

ასევე დაძაბული გამოდგა ჭაბუკ მოკრივეთა ჩემპიონატიც, რომელიც იმავე შესარჩევი დანიშნულებისა გახლდათ, როგორიც ძიუდოში იყო. აქაც ამ ასაკის ყველა უძლიერესი მოკრივე გამოვიდა. ჩემპიონები გახდნენ: **რევაზ ჩხეიძე** (46; ხობი), **ეშკინ ჰუსეინოვი** (48; მარნეული), **საბა ტყებუჩავა** (50; ფოთი), **ლუკა ნიქაბაძე** (52; გორი), **არამ ხრიკიანი** (54; ახალქალაქი), **ელსუნ სულეიმანოვი** (57; გარდაბანი), **გიორგი ჟორჟოლიანი** (60; მარნეული), **ლაშა გაგნიძე** (63; ჭიათურა), **ირაკლი ჯანელიძე** (66; ფოთი), **ანარ ჰუსეინოვი** (70; თბილისი), **ლუკა ქართველიშვილი** (75; ქუთაისი), **გიორგი დეკანოზიშვილი** (80; თბილისი) და **თორნიკე ჯიოშვილი** (+80; ერედვი).

უახლოეს პერიოდში ორივე სახეობის ჩემპიონ-პრიზიორებს საერთაშორისო შეჯიბრებებში მორიგი გამოცდები ელოდებათ.

სამხარაძიდან რევაზიშვილამდე

გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა მოჭიდავე გოგონებს შორის, რომელსაც დიღომში, „ოლიმპიურ პარკში“ მდებარე ფრენბურთის არენამ უმასპინძლა. სამწუხაროდ, გოგონების ჭიდაობა საქართველოში ჯერ კიდევ არაა იმდენად პოპულარული, რომ თუნდაც ძიუდოისტებისას გაუტოლდეს, სადაც მათი რიცხვი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდება, ქალთა ჭიდაობაში კი წინსვლა თითქმის არაა.

შედეგად, საქართველოს ჩემპიონატში შეჯიბრებები 10-დან მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა. თუმცა სწორედ გოგონების ტურნირში მოხდა ორი საინტერესო ფაქტი. პირველი ჭიათურელ **თამუნა სამხარაძეს** უკავშირდება, რომელიც ორ წონაში აჭიდავეს – 55-სა და 59-ში. 55-ში მისი გამოყვანის მიზანი იყო, შეემოწმებინათ, რამდენად გაუწევდა კონკურენციას ამ წონის ლიდერ **თამარ ხოჯაშვილს**. ფინალში მართლაც ისინი გავიდნენ და ხოჯაშვილმა იმარჯვა, სამხარაძე კი მეორე დღეს 59-შიც გამოვიდა, სადაც ბრინჯაო მოიპოვა. აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფაქტი უფროსებში ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატშიც მოხდა, როცა **რამაზ ზოიძე** ჯერ 67-ში გამოვიდა, თუმცა – წარუმატებლად, მეორე დღეს კი „მშობლიურ“ 72-ში იჭიდავა და გაიმარჯვა კიდეც. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თავის დროზე, ჭაბუკებში გამოსვლისას, ზოიძე ორივე სტილში ჭიდაობდა – ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში დაიწყო, მერე ბერძნულ-რომაულშიც სცადა ძალა. ერთხანს ორივე სტილში ჭიდაობდა, საბოლოოდ კი ბერძნულ-რომაულს შემორჩა და დიდ წარმატებებს მიაღწია – რამდენჯერმე გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა კი ეროვნული ნაკრების ლიდერად ყალიბდება.

გოგონების ტურნირის მეორე საინტერესო ამბავი ისაა, რომ თავისუფალ ჭიდაობაში გამოვიდა და 62 კილოგრამში ჩემპიონიც გახდა საგარეჯოელი **თინათინ რევაზიშვილი.** აქამდე იგი ძიუდოში ვარჯიშობდა, შემოდგომაზე კი სამბოშიც მოსინჯა ძალა. ვნახოთ, საბოლოოდ სად ჩაუშვებს „ღუზას“ და სად ჰპოვებს საბოლოო ნავსაყუდელს, ისე კი ის წარსულში ცნობილი ძიუდოისტის, მსოფლიო ვიცე-ჩემპიონ **გიორგი რევაზიშვილის** ახლო ნათესავია, ანუ საჭიდაო ოჯახის წარმომადგენელია (გიორგის ვაჟი – **ვანო რევაზიშვილი** ახლა თურქეთის დროშით და **ვედატ ალბაირაქის** სახელით გამოდის და სექტემბერში ბაქოში ძიუდოში მსოფლიოს მესამე პრიზიორიც გახდა).

როგორც ზემოთ ვთქვით, გოგონებში ხოჯაშვილი ჩემპიონი გახდა, ანუ გაამართლა ფავორიტის იმიჯი. ანალოგიურ წარმატებამდე კი ერთადერთი გამარჯვება დააკლდა მეორე ლიდერს, ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორ გორელ **მარიამ კარელიძეს** (50) – ფინალში ისიც გავიდა, მაგრამ თანაგუნდელ **მარინა სატკოევასთან** წააგო და ვერცხლს დასჯერდა.

დარჩენილ მეოთხე წონაში ჩემპიონი თბილისელი **თეონა ჯანდაგაშვილი** (59) გახდა.

ახალი თაობის ფრანგული წარმატება

ახალგაზრდა ქართველი ტყვიის მსროლელები წარმატებით გამოვიდნენ პარიზში გამართულ საფრანგეთის IX „დიდ პრიზზე“ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, სადაც 3 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო და 1 ბრინჯაო. ჩემპიონები ქუთაისელი **ნინო ხუციბერიძე** და თბილისელი **აკაკი მოსულიშვილი** გახდნენ, ბრინჯაოს კი ისევ ხუციბერიძე დაეუფლა.

ეს ტურნირი მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გაიმართა, რადგან მარტში ამავე დისციპლინაში ხორვატიაში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისთვის შესარჩევი ეტაპი იყო. ამიტომ ორი ტურნირი ჩატარდა.

ჩვენგან იქ სულ 7 მსროლელი გამოდიოდა – 4 ახალგაზრდებში და 3 – უფროსებში. ახალგაზრდებიდან ყველაზე დიდი წარმატებით ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი ხუციბერიძე გამოვიდა, რომელმაც ორივე სტარტზე მოიპოვა მედალი – პირველად ოქრო, მეორედ კი – ბრინჯაო. ის ფინალში ორივეჯერ საკმაოდ მაღალი სასტარტო პოზიციით შევიდა – საკვალიფიკაციო ეტაპები მეორე და მესამე ადგილებზე დაასრულა, თუმცა შედეგი – 566 ქულა არ იყო მთლად დამაჯერებელი, რადგან მისი პირადი რეკორდი საკმაოდ მეტია. სამაგიეროდ, ფინალში ნამდვილი მეომარივით იბრძოლა, განსაკუთრებით, პირველ სტარტზე და ორი ჯილდოც დაიმსახურა.

ოღონდ გოგონებში ეს არ ყოფილა ჩვენი ეული მიღწევა: საკვალიფიკაციო ეტაპი ორივეჯერ მეორე ქუთაისელმა მსროლელმა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა **ლიზი კილაძემ** მოიგო. იგი თბილისში, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლობს. პირველ ტურნირში, ფინალში, მეექვსე შედეგით შევიდა ჩვენი მესამე მონაწილე, თბილისელი **მარიამ ქობულაშვილი**, ანუ იმ დღეს ფინალში 8 მონაწილიდან 3 ქართველი იყო! თანაც, ცხრილს ქართველები – კილაძე და ხუციბერიძე ლიდერობდნენ! ქობულაშვილს მეორე დღესაც ცოტა დააკლდა ფინალამდე, თუმცა მისი გამოსვლა მაინც საყურადღებოა – ის საერთოდ პირველად ასპარეზობდა უცხოეთში და დებიუტი ფინალური სერიით დაასრულა. გუნდში მისი ჩართვა სროლის ფედერაციამ პრაქტიკული მოსაზრებით გადაწყვიტა – ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ შეჯიბრებაში რომ გამოვიდეთ. კილაძისა და ხუციბერიძის (ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანია) შესაძლებლობები ნამდვილად იძლევა წარმატების იმედს, მაგრამ გუნდში აუცილებლად სამი მსროლელი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ფედერაციამ მესამე მონაწილის დამატება და არჩევანი ქობულაშვილზე შეაჩერა. საფრანგეთში ნანახით თუ ვიმსჯელებთ, არც შემცდარან. ვფიქრობთ, ამ სამეულს ევროპის ჩემპიონატზე მედლის მოპოვების ნამდვილად კარგი შანსი აქვს.

კილაძე უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ მისი გამოსვლაც აღსანიშნავია – ზედიზედ ორჯერ მოიგო საკვალიფიკაციო ეტაპი, რაც იოლი ნამდვილად არაა. თანაც, პირველად მართლაც რომ კარგი შედეგი აჩვენა – 578 ქულა დააგროვა, იმავე დღეს ერთ სერიაში უნაკლოდ ისროლა და მაქსიმუმი, 100 ქულა მოინადავლა. მეორე სტარტზე 6 სერიიდან სამში დააგროვა 98 ქულა! ის იანვარშიც ორჯერ გავიდა ფინალში– მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში, თუმცა ამჯერად სასტარტო შედეგები ბევრად უკეთესი ჰქონდა. ცუდი ისაა, რომ მაშინაც და ახლაც ფინალში კარგად ვეღარ ისროლა და უმედლოდ დარჩა. მაშინ გუნდის ლიდერმა ნინო სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ფინალის დატვირთვას არასაკმარისი ფიზიკური კონდიციების გამო ვერ გაუძლო. დასამალი არაა, რომ სწავლის გამო ის სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. ახლა გუნდი საქართველოს ჩემპიონატში გამოვა, მარტის დასაწყისში კი ბაქოში გაემგზავრება ერთობლივ შეკრებაზე. იმედია, ინტენსიური ვარჯიშის პირობებში იქ ეს პრობლემა მოგვარდება. არადა, ხუციბერიძეც და კილაძეც ევროპის პირველობაზე მედლის რეალური კანდიდატები არიან.

ფრანგული ტურნირი მოსულიშვილის არცთუ ხანგრძლივ კარიერაში ყველაზე წარმატებულია, რადგან პირველად მოიპოვა მედალი პირად პირველობაში და ისიც – ოქროსი! ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პირველკურსელი ახალგაზრდებში გუნდურში ევროპის მესამე პრიზიორია, მაგრამ ინდივიდუალურში ასეთი წარმატება არასოდეს ჰქონია – ფინალშიც კი პირველად გავიდა, თანაც სამჯერ, რადგან სამ სტარტზე გამოვიდა: ორჯერ – პირად პირველობაში და ერთხელაც – შერეულ წყვილებში. პირადში ორივე სტარტზე გავიდა ფინალში, თუმცა პირველ ჯერზე მეოთხე ადგილზე დაასრულა გამოსვლა.

როგორც თავად აღნიშნა, წარმატებაში მღელვარებამ შეუშალა ხელი, რადგან პირველად ისროდა ამ ეტაპზე. სამაგიეროდ, მეორე სტარტზე გაითვალისწინა ეს შეცდომები, მწვრთნელთა დარიგებები და შეძლო მობილიზება. მან შედეგებსაც მოუმატა – პირველ ჯერზე პირადი რეკორდი დაამყარა (სხვათა შორის, ბოლო შეჯიბრებებში პერიოდულად უმატებს ხოლმე), ეს კი ევროპის პირველობაზე შერეულ წყვილებში კარგ პერსპექტივას გვიქადის. უეჭველია, ეს ოქროს მედალი მასაც აუმაღლებს განწყობას და მეტ სტიმულს მისცემს, ბაქოს შეკრება კი სასიკეთოდ წაადგება და კიდევ უფრო დაიხვეწება.

საფრანგეთში ჩვენმა ნაკრებმა მეოთხე მედალიც მოიპოვა – ბრინჯაოსი, მას ნინო სალუქვაძის ვაჟი **ცოტნე მაჭავარიანი** დაეუფლა. ის უკვე გადასულია უფროსებში, ოღონდ მაინც ახალი თაობის წარმომადგენელია.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ტესტები და დამხმარე სახელმძღვანელოები
მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და პედაგოგებისთვის!

15₾

ტესტები ქიმიაში
მოიცავს ზოგად, არაორგანულ და ორგანულ ქიმიას.
210 x 297 მმ., 246 გვ.

20₾

ამოცანათა კრებული
500-ზე მეტი ამოცანა ამოხსნებით მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის.
210 x 297 მმ., 350 გვ.

12₾

დამხმარე სახელმძღვანელო
სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის
210 x 297 მმ., 286 გვ.

20₾

პედაგოგებისთვის
თეორიული მასალა ზოგად, არაორგანულ და ორგანულ ქიმიაში.
210 x 297 მმ., 400 გვ.

10₾

ტესტები მათემატიკაში აბიტურიენტებისთვის
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მათემატიკის საგამოცდო ტესტების ანალოგიური 28 სრულყოფილი ტესტი.
200 x 257 მმ, 186 გვ.

15₾

თემატური სა საკონტროლო ტესტები თვითშეფასებისთვის
გამოსაშვები გამოცდების პროგრამის მიხედვით. წიგნში მოცემული თითქმის ყველა ამოცანა ორიგინალურია!
195 x 265, 356 გვ.

6₾
150 x 210, 132 გვ.

7₾
150 x 210, 172 გვ.

10₾
150 x 210, 242 გვ.

10₾
150 x 210, 184 გვ.

ფიზიკის ამოცანებისა და ტესტების კრებულები
წიგნებში მოცემულია შესაბამისი კლასის ფიზიკის სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მასალის შესაბამისი ამოცანები და ტესტები. კრებულის გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი ტიპის სკოლისათვის, დამოუკიდებლად იმისა, რომელი სახელმძღვანელოთი ხორციელდება სასწავლო პროცესი. კრებულების ბოლოს მოცემულია ცხრილები, რომლებიც საჭიროა მოცემული ამოცანების ამოხსნისათვის და ძირითადი ფორმულების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა აუცილებელია სასწავლო მასალის ათვისებისათვის.

7₾

ხელოვნება
დამხმარე სახელმძღვანელო 1-ელ და მე-2 კლასებში
სახელმძღვანელო აგებულია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.
210 x 297 მმ,
84 გვ., ფერადი
გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი ტიპის სკოლისათვის, დამოუკიდებლად იმისა, რომელი სახელმძღვანელოთი ხორციელდება სასწავლო პროცესი.

12₾

კლასის მართვა
საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის
სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს კლასის მართვის ამომწურავი გეგმის შექმნასა და შენარჩუნებას.
175 x 260 მმ,
256 გვ.

0112, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 181,
ტელ: (032) 234.04.30 ვებ-გვერდი: www.klio.ge; ელფოსტა:
book@klio.ge // kliopublishing@gmail.com
FB: PublishingHouseKlio /ან გვიპოვეთ ჰეშთეგით #კლიო/

წიგნის თაროს

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი



~~9 ლარი~~
6 ლარი



ფასდაკლება

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აპ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.